# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 16 თებერვალი. 2024 წ. №19 (9699) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## მოყვარეს პირში უძრახე...



იხ. 4-5 გვ.

უკრაინის შემყურე, ცოტა მაინც გონს არ უნდა მოვეგოთ და რუსეთის გამაღიზიანებელ ზედმეტ ტლიკინს, ფიქრსაც კი – თითქოს ნატოში გაწევრება იყოს ჩვენ წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, არ უნდა შევეშვათ?



# დაუჯერებელია, ყოვლად დაუჯერებელი...

ევროპაში ერთ-ერთი უძვირესი კრედიტებით გამდიდრებულ ხაზარაძეს ქართველი ხალხი მალე გააგდებს პოლიტიკიდანაც და საქართველოდანაც?!



იხ. 6 გვ.

## „ლელოს“ უსინდისო ტრიუკები



იხ. 3 გვ.

# თავდაცვის სამინისტროში კორუფცია ყველაზე საშიში მოვლენაა!

### ილჰამ ალიევი:

## თუ სომხეთი გონს არ მოეგება, მშვიდობიანი შეთანხმება არ იქნება!!!



9



## შალვა ნათელაშვილს სასამართლოში უჩივიან

იხ. 9 გვ.

### ადამიანი-რაგბი

## ლევან მაისაშვილი



10

### ირაკლი ღარიბაშვილი:

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენი მიზანია ძლიერი გამარჯვება, ძლიერი შედეგი, საკონსტიტუციო უმრავლესობა!



**მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში ვგეგმავ ათ რეგიონში ჩასვლას, მექნება ათი გასვლითი ღონისძიება, ჩვენი პარტია უნდა მოემზადოს არჩევნებისთვის,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, პარტიის თავმჯდომარის რანგში დღეს ვმართავ პირველ ბრიფინგს და მინდა, გაცნობოთ თქვენ და საზოგადოებას ჩემი გეგმების შესახებ. მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში ვგეგმავ ათ რეგიონში ჩასვლას. ვაპირებ, შევხვდე ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს, რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ჩვენს აქტივს, მოსახლეობას, რათა ადგილზე გავეცნო მათ საჭიროებებს. მთავარი მიზანი ამ შეხვედრების იქნება რეალურად წინასაარჩევნო კამპანიის მომზადება, მზადება არჩევნებისთვის, ჩვენი პარტია უნდა მოემზადოს არჩევნებისთვის. მოგეხსენებათ, ჩვენი გაცხადებული მიზანი არის, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ ამ არჩევნებზე. ამისთვის საჭირო არის მაქსიმალური მობილიზაციის გაკეთება, ჩვენი რესურსების, ჩვენი აქტივის მთლიანად მობილიზება, რომ მივიღოთ ძლიერი გამარჯვება და ძლიერი შედეგი ამ არჩევნებზე.

მე გავიმეორებ ჩვენს მიზანს – ჩვენი მიზანი არის მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი პარტიის თითოეულ წევრს. მე მექნება მათთან შეხვედრები, გვექნება ათი გასვლითი ღონისძიება. ასევე, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რა თქმა უნდა, პარლამენტთან. მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და წარმატება ვუსურვო პრემიერ კობახიძის მთავრობას, ყველა მინისტრს“!




## ირაკლი ღარიბაშვილი:

# რეალური ოპოზიცია არ არსებობს!

**ჩვენდა საუბედუროდ, არც ერთი ოპოზიციური პარტია არ არის დამოუკიდებელი, ისინი ემსახურებიან სხვების ინტერესებს,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მმართველი პარტიის მორიგ ბრიფინგზე განაცხადა.

**„ე.წ. გაშლილი „ნაციონალური მოძრაობა" არ ემსახურება სახელმწიფოს ინტერესებს. ისინი ებრძვიან ქართველი ხალხის ინტერესებსა და სახელმწიფოს ინტერესებს. ახლა რაც შეეხება ოპოზიციის ტაქტიკას. ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ, რომ ოპოზიცია არ არის დამოუკიდებელი და არ არის ერთიანი, ჩვენ ამასთან დაკავშირებით გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებები და ფაქტები. გადახედეთ მათ ბიოგრაფიებს. გვარამია არის დამოუკიდებელი?! და სხვა ცალკე მოთამაშე, თუ ხაზარაძე, ბანდიტი და სააკაშვილის მოროდიორი?! თუ, ვინ კიდევ, ნიკა მელია?! ხაზეიშვილი?! თუ ვინ?! რომელი ოპოზიციონერი არის დღეს დამოუკიდებელი საქართველოში. რომელი ემსახურება და რომელი ატარებს საკუთარ პოლიტიკას? – არც ერთი, მეგობრებო! ეს არის ჩვეულებრივი, გაშლილი, ხელოვნურად ფრაგმენტირებული ოპოზიცია, რომ საბოლოო ჯამში მათი ილუზიებიდან გამომდინარე, ამტკიცებენ საკუთარ სიბრიყვეს, რომ რაღაც წარმატების შემთხვევაში კვლავ გაერთიანდნენ.**

**ეს ხომ ნანახი გვაქვს. ხალხმა კარგად იცის და საერთოდ როცა საუბრობენ ეს ადამიანები, ჩვენ მათ ვახსენებთ ფაქტებს. მე მიყვარს ფაქტებით საუბარი. რამდენიმე გვარი ჩამოგითვალეთ და აღარ გავიმეორებ მათ გვარებს, ზედმეტი ფუფუნებაა მათთვის კონკრეტული გვარებით ხსენება. ეს ადამიანები იყვნენ და არიან სააკაშვილის მსახურები და მისი ინტერესების გამტარებლები. არ არსებობს სხვა, რეალური ოპოზიცია. ყველა არის ჩაბმული, ჩართული ამ საერთო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებში და მათ თამაშში. არ არსებობს სხვა, რეალური მიზანი და სხვა ოპოზიცია. ყველა არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი"...**

### სალომე ზურაბიშვილმა ჩაიდინა ღალატი!

**ვინაიდან აღარ ვარ მთავრობის ხელმძღვანელი და ვარ პარტიის ხელმძღვანელი, ჩემს თავს მივცემ უფლებას და პირდაპირ ვიტყვი, – სალომე ზურაბიშვილმა ჩაიდინა ღალატი,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ირაკლი ღარიბაშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა.

**„მან უხეშად დაარღვია არაერთგზის კონსტიტუცია და ამას აგრძელებს. სირცხვილია ასეთი მოქცევა ევროპაში გაზრდილი ქალბატონისგან და ჩვენი გუნდის მიერ მოყვანილი პრეზიდენტისგან. უნდა შევახსენო ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომ მისი რეიტინგი იყო 1% და ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ" მოიყვანა ის პრეზიდენტად. ამ ადამიანმა უღალატა როგორც გუნდს, ასევე სახელმწიფოს ინტერესებს. მისი ვიზიტიც ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. მას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ქვეყანას მიეღო სტატუსი, მისი მიზანი იყო, რომ რამენაირად წაეღო ეს დიდი მონაპოვარი, რომელიც ხალხთან ერთად ხელისუფლებამ მოიტანა. აქაც განიცადა ფიასკო, თავად აირჩია მან, რომ დამდგარიყო რადიკალური ექსტრემისტული ოპოზიციის გვერდით და მისი ხვედრიც იქნება შესაბამისი, ისიც იზეიმებს დიდ წაგებას ოპოზიციასთან ერთად"...**

### შემიძლია, მამუკა ხაზარაძე მოვიხსენიო, როგორც სააკაშვილის მოროდიორი

**როცა სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, იგი ატერორებდა ჩვენს მოქალაქეებს, ბიზნესს, ართმევდნენ სახლებს, ბიზნესებს. თუ ვინმე ჩართული იყო ამ ნაძარცვის გადანაწილებაში, ერთ-ერთი იყო ხაზარაძე და მისი ბანკი.**

ღარიბაშვილის თქმით, ოპოზიცია სრული კრახისა და მორიგი წაგებისთვის ემზადება.

**„მინდა, გითხრათ ჩემი მოსაზრება და ეს არის ჩვენი საერთო მოსაზრება, რომ არ არსებობს ცალკე აღებული არც ხაზარაძე, არც სხვა რეალური, ნამდვილი ოპოზიცია, ეს არის ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის" დანაყოფები, სატელიტები, როგორც გინდათ, ისე მოიხსენიეთ ეს ადამიანები. ოპოზიცია ემზადება სრული კრახისთვის და მორიგი წაგებისთვის. როცა ჩვენ ვსაუბრობთ ოპოზიციაზე, მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ საუბარი გვაქვს ყველაზე ანტიეროვნულ, ანტიქართულ მოვლენაზე, რომელმაც ყველაზე დიდი უბედურება დამართა ჩვენს ქვეყანას. ეს არის აგვისტოს ომი და ოკუპაცია, ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარა რუსეთს და გასწირა ჩვენი ხალხი ამ ომისთვის. გარდა ამისა, გახსოვთ, ყველამ კარგად იცით მათი მემკვიდრეობა, ეს არის წამება, არაადამიანური მოპყრობა, საშინელი ტერორი და ა.შ.**

**ამ ყველაფრის თანამონაწილე იყო ბატონი ხაზარაძე. აქვე, მინდა, ჟურნალისტებს მოგმართოთ თხოვნით, რომ როცა თქვენ საუბრობთ ისეთ პიროვნებაზე, როგორიც არის ბატონი ხაზარაძე, იგი უნდა მოიხსენიოთ კრიმინალად. შეგახსენებთ, რომ ბატონი ხაზარაძე არის გასამართლებული, თაღლითობაში იყო მხილებული და იგი სასამართლომ აღიარა თაღლითად, კაცი, რომელმაც საკუთარი ბანკი, საკუთარი ინვესტორები გაძარცვა და თაღლითური სქემა შეადგინა, რაზეა საერთოდ საუბარი. შემიძლია, ხაზარაძე მოვიხსენიო, როგორც სააკაშვილის მოროდიორი, რადგან როცა სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, იგი ატერორებდა ჩვენს მოქალაქეებს, ბიზნესს, ართმევდნენ სახლებს, ბიზნესებს და ა.შ. თუ ვინმე ჩართული იყო ამ ნაძარცვის გადანაწილებაში, მათი ქონებების მითვისებაში, ერთ-ერთი იყო ხაზარაძე და მისი ბანკი. იგი თავიდან ბოლომდე იყო ჩართული კრიმინალურ საქმიანობაში სააკაშვილთან ერთად"...**



## ირაკლი კობახიძე: საუდის არაბეთთან კავშირების გაძლიერება აუცილებელია ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობისთვის

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საუდის არაბეთის ინვესტიციების მინისტრ ხალიდ ალ ფალიჰთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში" ეხმაურება.**

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის კავშირების გაძლიერება აუცილებელია ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობისთვის.

**„სასიამოვნო იყო საუდის არაბეთის ინვესტიციების მინისტრ ხალიდ ალ ფალიჰთან შეხვედრა. საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის კავშირების გაძლიერება აუცილებელია ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობისთვის. სპარსეთის ყურის არაბთა სახელმწიფოების მთელ რეგიონში თანამშრომლობის გაძლიერების იდეის ერთგულია საქართველო",** – აღნიშნავს პრემიერი.

## კახა კალაძე: „ლელოს" დამფუძნებლები ისეთ სისულელეებს აკეთებენ, სირცხვილისგან მანქანაც კი დაიწვა



**პარტია „ლელოდან", მისი დამფუძნებლების მხრიდან საოცარ მუქარებს ვისმენთ. ამ განცხადებებით ჩანს, ვინ არიან და რას წარმოადგენენ ეს ადამიანები. ისეთ სისულელეებს აკეთებენ, სირცხვილისგან მანქანაც კი დაიწვა,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, **კახა კალაძემ** განაცხადა.

**„პოლიტიკური პარტიები, რაღაც სახელებს რომ ირქმევენ, ყველა „ნაციონალური მოძრაობის" წიაღიდანაა აღმოცენებული. შეიძლება, მაშინ ბატონი ხაზარაძე არ იყო „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული წარმომადგენელი, მაგრამ თავისი ფუნქცია ჰქონდა და ყველამ კარგად ვიცით, რა იყო ამ ადამიანის ფუნქცია. შესაბამისად, დღეს როდესაც ვისმენთ მუქარებს, არაფერი შეცვლილა. როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, ყველას გვახსოვს, რა საზიზღრობებით და სიმძმით გამოირჩეოდნენ. დღეს როდესაც ოპოზიციაში არიან, არაფრით შეცვლილან, იმავეს აკეთებენ, უბრალოდ, ნაკლები რესურსი და ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. არანაირი შანსი არა აქვთ არც წარმატების. თუ ბარიერს გადალახავენ, ეს იქნება მათთვის ძალიან დიდი „გამარჯვება".**

## დანიგანი ქართული კულტურითა და სპორტით დაინტერესდა

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიანისა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რობინ დანიგანის, გაცნობითი შეხვედრა სამინისტროში გაიმართა.**

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მრავალწლიანი მეგობრობის, სტრატეგიული პარტნიორობისა და წარმატებული თანამშრომლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კულტურისა და სპორტის სფეროებში უკვე არსებული თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობებს. საუბარი ასევე შეეხო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ტერიტორიების, მუზეუმ-ნაკრძალების დაცვისა და მუზეუმების მენეჯმენტის განვითარებისთვის მრავალწლიანი პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებსა და პროგრამებს და მათი გაფართოების შესაძლებლობებს.

თეა წულუკიანმა ელჩს გულითადი მადლობა გადაუხადა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ისეთი წარმატებული ერთობლივი პროექტებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, დადიანების დედოფლისეული სასახლის საფონდო სივრცეების, სასახლეში დაცული ნივთებისა და არტეფაქტების კონსერვაცია-რესტავრაციის ფინანსური მხარდაჭერის პროექტი. გარდა ამისა, შეხვედრისას ყურადღება დაეთმო კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ქართული კინემატოგრაფიის სათანადოდ წარმოჩენას როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, ევროპულ სტრუქტურებში, მათ შორის, „ევრიმაჟის" წინაშე.





## შალვა პაპუაშვილი: 2020 წლის სიყალბის განმეორებას არ დავუშვებთ!

**არ დავუშვებთ, 2020 წელი გაიმეორონ „ენჯეოებმა“ და ყალბი დასკვნებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გუშინ განაცხადა.

**„რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ხმების დაცვას და ა.შ. 2020 წელს ჩვენ რაც ვნახეთ, ერთადერთი, ვისგანაც დასაცავია ქართველი ამომრჩევლის ხმები, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი სატელიტი „ენჯეოები“. სხვათა შორის, პირდაპირ ეუთოს დასკვნაში აისახა, რომ სახეზე იყო პარტიული „ენჯეოების“ აქტივობა საარჩევნო უბნებზეც, მათ შორის წინასაარჩევნო გარემოში. გვახსოვს მაშინ „ისფედის“ მიერ გაყალბებული „პივიტი“ (ხმების პარალელური დათვლა) და შემდეგ რამდენიმე „ენჯეოს“ განცხადება, რომელიც გახდა საფუძველი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ბოიკოტის. მათ შორის, გახსოვთ, ძალადობრივი შტურმი იყო ცესკოზე 2020 წელს. ასე რომ, თუ ვინმესგან არის დასაცავი ჩვენი ხმები, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი სატელიტი „ენჯეოები“. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვაკვირდებით იმასაც, ვინ იქნებიან ე.წ. ადგილობრივი დამკვირვებლები, რომლებიც არიან ხოლმე აქტიურები, რადგან მათ საზოგადოებაში დაკარგული აქვთ ნდობა მას შემდეგ, რაც 2020 წელს იყვნენ თანამონაწილეები დეზინფორმაციული კამპანიისა, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილის განმარტებით, დღესაც ჩანს, აღნიშნულ „ენჯეოებს“ აქვთ პირდაპირ გაცხადებული საარჩევნო მიზანი, რომ სურთ ხელისუფლების შეცვლა.

**„სოროსის ფონდის“ ხელმძღვანელმა შარშან შემოდგომაზე მაკკეინის ფონდის მიერ დაფინანსებულ კონფერენციაზე, პირდაპირ პანელზე განაცხადა, რომ მათი მიზანია ხელისუფლების შეცვლა. ამ პანელში ის და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელი იღებდნენ მონაწილეობას. გარდა ამისა, გვახსოვს ჩვენ 2022 წლის ივნისის აქცია, როდესაც სწორედ ეს „ენჯეოები“, ვგულისხმობ „ისფედს“, „გამჭვირვალობას“, „სოროსის ფონდს“ და ა.შ. ცდილობდნენ მაშინ, არადემოკრატიული გზით დაემხოთ ხელისუფლება და თავად ყოფილიყვნენ მონაწილენი მთავრობის დაკომპლექტებაში. გახსოვთ, ისინი ითხოვდნენ, „ისფედს“, „გამჭვირვალობას“, „სოროსის ფონდს“ ჰქონოდა ვეტოს უფლება მთავრობის დაკომპლექტებაში.**

**ანუ, ხალხის მიერ არალეგიტიმურ ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან, ჰქონოდათ ვეტო ხელისუფლების დაკომპლექტებაში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ვაკვირდებით, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები ვინ იქნებიან და მათ საქმიანობას. ასევე, მათი დაფინანსების გამჭვირვალობას, რადგან ყველაზე დიდი გამოწვევა დღეს „ენჯეო“ სექტორში არის, რომ გაუმჭვირვალეა დაფინანსება. ამიტომ მნიშვნელოვანია, საზოგადოება აქ იყოს ფხიზლად, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ 2020 წელი გაიმეორონ „ენჯეოებმა“ და ყალბი დასკვნებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# თავდაცვის სამინისტროში კორუფცია ყველაზე საშიში მოვლენაა!



# კობახიძის მთავარი საარჩევნო სტრატეგია – კორუფციის წინააღმდეგ მასშტაბური ბრძოლა!

**„ოცნება“ კორუფციის წინააღმდეგ მასშტაბურ ბრძოლას იწყებს. არ არის გამორიცხული დაკავების სერია არჩევნების წინ ვიხილოთ.** „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ კორუფციასთან დაკავშირებით კომპრომისები არ იქნება. ახლად დანიშნული პრემიერის და ვიცე-პრემიერის **ირაკლი ჩიქოვანის** განცხადებით, რომელიც ასევე თავდაცვის მინისტრია, კორუფციასთან ბრძოლის მხრივ ხელისუფლების მხრიდან დიდი ძალისხმევა იქნება გაწეული, რაც გამოძახილია 30 დეკემბერს პოლიტიკაში მესამედ დაბრუნებული **ბიძინა ივანიშვილის** განცხადებაზე: **„ოპოზიციის განადგურების პირობებში, იზრდება რისკები მმართველ გუნდში. ოპოზიციის არარსებობამ მმართველ პარტიას მარტივად შეიძლება თავბრუ დაახვიოს და მოადუნოს. გარდა ამისა, როდესაც გარეთ დასაპირისპირებელი არავინ გრჩება, ჩნდება ცდუნება, დაპირისპირება გუნდის შიგნით გამოიგონო. ასევე, ოპოზიციური კონტროლის არარსებობის პირობებში, კორუფციის რისკებიც მატულობს, რასაც საგანგებო დაზღვევა ესაჭიროება“.**

იმავე გამოძახილის გაგრძელებაა უკვე ახალი პრემიერის, **ირაკლი კობახიძის** მთავრობის სხდომაზე გაკეთებული განცხადება:

**– ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი შედეგი კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, რასაც ძალიან ბევრი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს, მაგრამ აქაც უნდა გვქონდეს ამბიცია. უნდა გვქონდეს იმის ამბიცია, რომ ამ თვალსაზრისით, ვიყოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის, რაც არის აბსოლუტურად რეალისტური ამოცანა. მთავარია, რომ აქტიურად ვიმუშაოთ ამ ყველაფერზე. ზოგადად, ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი სამთავრობო გუნდი და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ. ყველაფერი არის ჩვენი მიზანდასახულობის, თანმიმდევრული საქმიანობის, შრომისმოყვარეობის საქმე, რაც არც ერთ თქვენგანს არ აკლია,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით განცხადება გააკეთა ასევე ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, **მამუკა მდინარაძემ**.

**„შეგვიძლია სპეკულაციებისთვისაც კი აღარ დავტოვოთ სივრცე დინამიკაში, იმდენად დიდი მასშტაბი შეიძლება მიიღოს კორუფციასთან ბრძოლამ – ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის“ მეთოდებით, სახლებში შევარდნებითა და სატელევიზიო შოუებად წარმოჩენით არ უნდა მოხდეს“,** – თქვა **მდინარაძემ.**

კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა დაკავებები, მდინარაძემ განაცხადა, რომ დაკავება კორუფციის წინააღმდეგ ერთადერთი საპრევენციო იარაღი არ არის, ხოლო თუ ადამიანი დასაკავებელია, იმას დააკავებენ.

**„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში კომპრომისი არ იქნება“,** – ასე უპასუხა თავდაცვის ახლად დანიშნულმა მინისტრმა **ირაკლი ჩიქოვანმა** ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

„ჩიქოვანი პირობას დებს, რომ ჯარისკაცების ხარჯზე არც ერთი კომპრომისი არ იქნება“.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს არჩევნებამდე დარჩენილ 8 თვეში იმის შანსი, რომ კორუფციის თემასთან დაკავშირებით ოპოზიციას სალაპარაკო აღარ დაუტოვოს. ანჯაფარიძე ამბობს, რომ საქართველო კორუფციის აღქმის ინდექსში შედარებით კარგ პოზიციაზე იმყოფება. თუმცა მისი გაუმჯობესების შანსები არსებობს.

**„ბიძინა ივანიშვილს თავის ნიშანდობლივ გამოსვლაში 30 დეკემბერს შემთხვევით არ უხსენებია კორუფციის რისკი. ის სიტყვებს ასე ჰაერზე არ ისვრის. შესაბამისად, ვფიქრობ ხომ არ არის პირველი მერცხალი ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ასეთი დემონსტრაციული გადადგომა. მის შთამბეჭდავ შემოსავლების დეკლარაციას გავეცანი, სადაც პრინციპში, მისი შემოსავლები და დანახარჯები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის. ასე რომ, შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ რამდენიმე მაღალი თანამდებობის ან საშუალო რგოლის წარმომადგენლის მისამართით გაჩნდეს კითხვები. შესაძლოა გამოძიებაც დაიწყოს“,** – ამბობს **ანჯაფარიძე.**

მისივე თქმით, გააჩნია ხელისუფლება ამ მიმართულებით რამდენად შორს წავა. შესაძლოა, ზოგს თანამდებობიდან მშვიდად წასვლა აკმარონ, ზოგის მიმართ კი გამოძიება დაიწყონ.

**„გააჩნია ხელისფლებაში რაზე ჩამოყალიბდებიან, რამდენად რადიკალურები იქნებიან კორუფციასთან ბრძოლაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განაცხადი, თუ ის, რა თქმა უნდა, კონკრეტული ნაბიჯებით იქნება გამყარებული, მოსახლეობაში მხოლოდ დადებითად აღიქმება. ხოლო ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ გარკვეულ პოლიტიკურ დივიდენდებსაც მოუტანს“,** – ამბობს **ანჯაფარიძე.**

რაც შეეხება ახალი პრემიერის ირაკლი კობახიძის ბიოგრაფიას, რომელიც არ არის კორუფციასთან დაკავშირებული, მისცემს თუ არა მას ეს იმის საშუალებას, რომ ამ კუთხით უფრო თავისუფლად იმოქმედოს, ანჯაფარიძე ამბობს, რომ ეს ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის მნიშვნელოვანი აქტივია.

**„როდესაც კობახიძის მიმართ კორუფციასთან დაკავშირებით კითხვები არ არსებობს, ეს ფაქტია, ხელისუფლებასაც და თავად პრემიერსაც ძალიან დიდ პოლიტიკურ დივიდენს მატებს, როცა შესაძლოა სხვა ჩინოვნიკების მისამართით ეს კითხვები არსებობდა. გამომდინარე იქიდან, რომ ახლა წინასაარჩევნო პერიოდში იმყოფება მმართველი გუნდი, მგონია, „ოცნება“ ასჯერ გაზომავს და ერთხელ გაჭრის. ვიდრე რაღაც კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, ალბათ ბევრად ფრთხილი იქნება მანამდე. თუმცა ივანიშვილმა რა განცხადებაც გააკეთა, თავის დროზე, ახლა კობახიძის ნათქვამიც, ამ განცხადების ერთგვარი გამოძახილია. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმული იქნება“,** – ამბობს **ანჯაფარიძე.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ კორუფციის საკითხი ირაკლი კობახიძისთვის ახლა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, მით უმეტეს, როცა ამ მხრივ ის სრულიად სუფთაა და მისი სახელი არც ერთ კორუფციულ თემაში არ ყოფილა ნახსენები.

**„ქვეყანაში კორუფციის მხრივ გარკვეული რისკები და პრობლემები რომ იყო, ბიძინა ივანიშვილმა მესამედ პოლიტიკაში შემობრუნება ამიტომაც გადაწყვიტა. გამოწვევა არის არა მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთი გვთხოვს, არამედ ეს მმართველი გუნდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ჩვენ ვიცით, რომ კორუფციის სტატისტიკის მხრივ არ გვაქვს ძალიან სავალალო შედეგები. ოღონდ კორუფცია საზოგადოებისთვის ავადმყოფობაა. აუცილებელი არ არის, ის იყოს სასიკვდილო, რომ მისი მოშორება იყოს აუცილებელი. რა ზომისაც არ უნდა იყოს კორუფცია, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ მოვიშოროთ.**

**თუკი მას ფესვი აქვს გამდგარი, შესაძლოა, ამ ფესვმა სარეველას პრინციპით იხაროს და მოედოს ყველაფერს. თან თუ ასეთი პრეტენზიები ისეთ სამინისტროს მიმართ გაჩნდა, როგორიც თავდაცვის სამინისტროა. ომის პირობებში, როცა ჩვენს გარშემო ყველგან ომია და ჩვენც, ლამის, ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით, თავდაცვის სამინისტროში კორუფცია ყველაზე საშიში მოვლენაა. იარაღით დაინტერესებული ბევრი ქვეყანაა და ამ დროს თუ სინდისზე ვინმემ ხელი აიღო, შესაძლოა, უფრო დიდი უბედურება დატრიალდეს, ვიდრე კორუფციის ფაქტია“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, ახლა მნიშვნელოვანია ეს კორუფციის თემა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში როგორ შევა და წინასაარჩევნოდ მის გამოყენებას ხელისუფლება თუ ოპოზიცია როგორ შეძლებს. საყვარელიძე ამბობს, რომ თუკი ხელისუფლება დაიწყებს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რაც კობახიძის ნათქვამში უკვე ჩანდა, მაშინ ოპოზიციას ეს თემა ხელიდან გამოეცლება.

**„ახლა ასე დგას საკითხი – კორუფციის თემას, რომელსაც ოპოზიცია წინასაარჩევნოდ იყენებს, გაუწევს თუ არა ხელისფლება ანგარიშს. მე მგონია, მოახერხებს ერთი მარტივი მიზეზის გამო: არავის მთელი ამ 12 წლის განმავლობაში, კობახიძეზე კორუფციის ეჭვი არ გამოუთქვამს. ამას ოპოზიციაშიც აღიარებენ, თანაც ოჯახი ჰყავს ერთმანეთზე უფრო პატიოსანი და პრინციპული ადამიანებით სავსე. ამ ფონზე გულხელდაკრეფილი რომ არ იქნება კობახიძე, ეჭვი არ მეპარება. თანაც ძალიან აქტიური ადამიანებით სავსე. მოერევა თუ არა და აღმოფხვრის თუ არა მთლიანად, ეს კაცმა არ იცის. ავადმყოფობის ამბავი მე ამიტომ მოვიყვანე. მუდმივად ჯანმრთელი ვერავინ იქნება, მაგრამ საზოგადოების გამოჯამრთელებისთვის ღონისძება ყოველთვის უნდა ტარდებოდეს. ამ ბრძოლას, იმედია, ხელისუფლება თავს გაართმევს“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

## მოყვარეს პირში უძრახე...




**ვინც დროებითი უსაფრთხოების სანაცვლოდ თავისუფლებას თმობს, ღირსი არ არის არც თავისუფლების და, არც — უსაფრთხოების.**

**ბენჯამინ ფრანკლინი**

# დაუჯერებელია, ყოვლად

**ახლო წარსულში, 12 წლის განმავლობაში (1991-2003 წწ.) ბევრი დაუჯერებელი და იმ პერიოდში აუხსნელი რამ მოხდა, მე მხოლოდ მთავარს შევეხები ძალიან მოკლედ.**

**ყოვლად დაუჯერებელი** და აბსოლუტურად მოულოდნელი იყო **საბჭოთა კავშირის დაშლა,** თანაც, — უსისხლოდ!

**დაუჯერებელი იყო** საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად „დამოუკიდებლობამიღებულ“ საქართველოში სამოქალაქო ომი თუ ატყდებოდა და **ქართველი ქართველს ტყვიას ესროდა!** შემდეგ კი — **არჩეულ პრეზიდენტსაც მოკლავდა!**

**ყოვლად დაუჯერებელი იყო აფხაზეთს თუ დავკარგავდით,** — დიდწილად, ჩვენი უჭკუობით და მოღალატეობრივი ნაბიჯებით!

**დაუჯერებელი იყო** აფხაზეთიდან **ლტოლვილი ხალხის გადმოყვანა** სვანეთის დათოვლილი გზით — **ჭუბერის უღელტეხილით** (და არა, — სამეგრელოს გზით), რასაც ასამდე (ზოგიერთის აზრით — ასობით) ქალი, ბავშვი და მოხუცი ემსხვერპლა; კატასტროფა განიცადა 50-მდე მგზავრით გადატვირთულმა მაშველმა ვერტმფრენმაც (დაღუპულთა შესახებ ოფიციალური მონაცემები არ იძებნება). როგორც აფხაზეთში მოხალისედ მებრძოლი პროფესორი **ნოდარ ნათაძე** წერს: **„შევარდნაძემ** ხალხიც გაწირა და აფხაზეთიც“!

რა თქმა უნდა, ისიც **დაუჯერებელი იყო**, **შევარდნაძესაც უსისხლოდ თუ მოვიშორებდით** და მხნელად პროფესორების ოჯახში გაზრდილი, უკრაინასა და თავისუფალ ამერიკაში განათლებამიღებული ახალგაზრდა კაცი, **მიხეილ სააკაშვილი** თუ მოგვევლინებოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ლამის, ღმერთის გამოგზავნილად მიიჩნია იგი ბევრმა (ცხადია, იმ რამდენიმე ათეულ თუ ასეულ ადამიანს არ ვგულისხმობ, რომლებსაც სწორი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ადამიანზე, რომელმაც თავისი არაადეკვატურობა, არაკაცობა, გნებავთ, არაქართველობაც მალევე გამოამჟღავნა!)!

**და, კიდევ უფრო დაუჯერებელი იმის გაგება იყო (სამწუხაროდ, ძალიან, ძალიან გვიან!), რომ ყველაფერი, რაც ჩვენს თავს და პოსტსაბჭოურ სივრცეში ხდებოდა, თურმე, ამერიკის შეერთებული შტატების მოწყობილ-დაფინანსებული ყოფილა! იმ ამერიკის, რომელიც თავისუფლების და დემოკრატიის სამოთხედ გვებულებოდა და ვისკენაც ასე მივილტვოდით (ბევრს ხომ ახლაც ასე ჰგონია და თვალი ჯერაც არ ახელია!)!**

სააკაშვილის წარმოუდგენლად დანაშაულებრივ, ერთპიროვნული მმართველობის პერიოდს — 2003 წლის ბოლოდან 2012 წლის ოქტომბრამდე — გვერდს ავუვლი, რადგანაც ამ წლებში იმდენი და ისეთი დანაშაულია ჩადენილი, რომ მათზე ძალიან მოკლედაც საუბარი ძალიან დიდ ადგილს იკავებს, თანაც, მისი „წარმატებული“ მოღვაწეობის შესახებ უკვე ყველასთვის ცნობილია.

ახლა ვთქვათ, თუ რა ხდებოდა (და ხდება ამჟამადაც!) სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ **ივანიშვილის** „ქართული ოცნებით“ ჩანაცვლების შემდგომ პერიოდში, ანუ 11-ზე მეტი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, — ისევ მთავარზე და დაუჯერებელზე, ოღონდ მათ შესახებ უფრო ვრცლად და მცირე შესავლის შემდეგ.

პრემიერის, პრეზიდენტის, პარლამენტარების და მინისტრების გასაგონად (ცხადია ბ-ნი ბიძინაც იგულისხმება!) უნდა ვთქვა შემდეგი: ქართული ტრადიცია მოითხოვს, რომ თითოეულ თქვენგანს „ბატონობით“ მოგმართოთ, მაგრამ ისევე, როგორც სააკაშვილის და პირწავარდნილი ნაცების მისამართით არ მომიბრუნდება ენა ამის სათქმელად, არც თქვენთვის მემეტება პატივისცემის და მოწიწების გამომხატველი ეს სიტყვა, არც ერთისთვის! ყველაფერს დამსახურება უნდა! ის რამდენიმე, ადრე წესიერ კაცად ცნობილი ადამიანიც, რომელსაც თანამდებობრივად ევალება ხმის ამოღება და ხალხის ინტერესების დაცვა, როცა გასუსული ზის კომფორტულ სავარძელში და კარგ ხელფასსაც იღებს (ახლა ხომ ლამის უორმაგებენ გასამრჯელოს მასზე დაკისრებული ერთობ „მძიმე“ სამუშაოს შესრულებისთვის), პატიოსნად ვეღარ ჩაითვლება, მისი სახელი კონფორმისტია! დუმილი ყოველთვის ოქრო როდია, იგი ხშირად ოქრო-ვერცხლის სიყვარულზე მიუთითებს მხოლოდ! ამიტომ, მრავლობით ფორმას — „თქვენობით“ მომართვასაც **ნიკა გვარამიამ** მიმართა მას იმავე ტელეარხის ეკრანიდან. ორი აზრი არ არის, ამ მეორე თავგასულ პირუტყვსაც დაუსჯელობის, შენი უმოქმედობის იმედი ჰქონდა. და, ასეც მოხდა — **არც მისთვის მოგითხოვია საკადრისი პასუხი** (ხოლო მისმა მფარველებმა, ჩვენმა „დაუძინებელმა მეგობრებმა“ დააჯილდოვეს კიდეც!)! რაც არ უნდა თავი რომ ავარიდო, ყველას კრებსითი სახელით — ხელისუფლებად მოგიხსენიებთ და მხოლობითი ფორმით — „შენობით“ მომართვა უფრო სწორი და გრამატიკულადაც გამართული გამოვა. სიმართლე გითხრათ, „ცოტა მეტსაც“ კი იმსახურებ ხელისუფლებავ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ცოტაოდენი პატივი შენ თავსაც უნდა სცე კაცმა!



**ახლა კი დაუჯერებელ ამბებს მივუბრუნდეთ:**

1. დამარცხებული ნაცებისთვისაც(!) კი **დაუჯერებელი და მოულოდნელი** იყო 2012 წლის ბოლოს, გამარჯვებული „ქართული ოცნების“ პარლამენტის პირველივე(!) სხდომაზე თავმჯდომარე უსუფაშვილის პირით დამნაშავე **ნაცების და „ნაცმოძრაობის“ შესაწყალებელი ამნისტიის წინადადებას თუ წამოაყენებდი!** ხალხი, რომელიც სამართლის აღდგენაზე ოცნებობდა და ახალი ხელისუფლებისგან მკვლელი, მწამებელი, ყაჩაღი და სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი ნაცრეჟიმის გასამართლებას ელოდა, სახტად დარჩა, ნაწილმა მალევე მოტვინა, რომ შენ — „ქართული ოცნება“ მთავარი დაპირების შესრულებას — სამართლის აღდგენას არ აპირებდი! და ასეც მოხდა — შიშისაგან სოროში შემძვრალი ნაცები ნელ-ნელა გამოძვრნენ და გვარიანადაც იბარტყეს — რეანიმირებულ ნაცპარტიას და ნაცტელევიზიას იმავე მიმართულების პარტიები და ტელეარხები შეემატნენ, ისინი იმდენად გათავხედდნენ, რომ ნიშნის მოგებით ტრაბახობენ კიდეც: „აბა, თუ შნო გაქვთ, დაგვიჭირეთო“! აქეთ გვემუქრებიან: „მალე დაგამხობთ და გაგისწორდებით, ყველას მისამართები ვიცითო“!

**2. დაუჯერებელია, აბა რა, როდესაც კიევში მყოფი ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი არაერთხელ, გვარამიასთან და სხვებთანაც, აჯანყების გეგმებს ადგენდა, სამოქმედო დირექტივებს იძლეოდა (არეულობის დროს კარგი იქნება ფეხმძიმე ქალი თუ დაიღუპებაო!) და მიუხედავად იმისა, რომ ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტური აუდიომასალა არსებობს, არც ერთისთვის პასუხი არ მოგითხოვია შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობის მცდელობის მუხლით! რატომ?! შესაბამისი მუხლი არ არსებობს, არც სამშობლოს ღალატის მუხლი და იმიტომ ვერ იჭერ? თუ მსგავსი მუხლი არ არის, შენ კი 11 წლის განმავლობაში სათანადო ცვლილება არ შეიტანე კოდექსში, მაშინ შენ ყოფილხარ დასაჭერი — ყველანი, ვისაც ეს ეხება და ფეხს ითრევს, კანონს არ იღებს!**

3. **დაუჯერებელია,** როდესაც **გიორგი გაბუნია** ნაცების ტელევიზიით ისე აგინებს, რომ **ცოცხალ-მკვდარს არ უტოვებს იმ ქვეყნის პრეზიდენტს**, რომლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული არა მარტო ნანატრი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნაც! და, ნაცვლად იმისა, იმავე ღამეს დაგეპატიმრებინა იგი, პირდაპირ ტელევიზიაში აგეყვანა, ოპერატიულ დაკავებას ვინ ჩივის, საერთოდ, **ხმაც კი არ ამოგიღია,** ვითომც არაფერი მომხდარიყოს! ამერიკის პრეზიდენტისთვის რომ შეეგინებინა გაბუნიას ანდა, სულაც, მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ელჩისთვის, მაშინაც გაისუსებოდი?! არა მგონია, — საშინლად აღშფოთდებოდი, ერის სახელით ბოდიშებს მოიხდიდი და ამ თავხედსაც კარგა ხნით ჩასვამდი ციხეში!

4. **დაუჯერებელია** და არც არავინ იფიქრებდა, რომ ვინმე ოდესმე გაბედავდა და ისეთი ეპითეტებით **„შეამკობდა“ საქართველოს პრეზიდენტს, თანაც, ქალბატონს** (!), როგორითაც ცუდი პრეზიდენტი იყოს ზურაბიშვილი, განა მისი ღირსების დაცვა შენ არ გევალება საქართველოს ხელისუფლებავ?! აქაც იგივე მაინტერესებს, — ახლა ამ ან სხვა ტუტუცმა ჟურნალისტმა ივანიშვილსაც იგივე სიტყვებით ანუ „მრავალსართულიანით“ რომ მიმართოს, მაინც თავზე ხელს გადაუსვამ და კანონის არქონას მოიმიზეზებ?

**5. როგორი შეშინებული და უსუსური უნდა იყო, როდესაც არათუ სახელმწიფო ღირსებას, საკუთარ ღირსებასაც კი ვერ იცავ შენსავე ქვეყანაში! დაუჯერებელია,** არ მეგულება, მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც პოლიციის საკონტროლო სამაჯურდადებული პატიმარი ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოვიდეს, სამაჯური მოიხსნას, ხალხში მოისროლოს და გაბრექილი გაიძახოდეს: აბა, მოვიდნენ და დამიჭირონო! ეს ხომ **სამაჯურის ხალხში კი არა, პოლიციისთვის სახეში სროლაა** და, როცა ასეთ ადამიანს, **ნიკანორ მელიას** პასუხს არ სთხოვ, არც უკანვე ციხეში არ აბრუნებ და არც დანაშაულს უმძიმებ,— სასჯელს არ უზრდი, ეს უკვე პოლიციასთან ერთად შენი ღირსების შელახვაა, შენთვის გაწნილი სილაა, შენი უსუსურობის დამადასტურებელი!

**6. როდესაც ვერც საკუთარ ღირსებას იცავ, ვერც პრეზიდენტებისას (საკუთარი თუ მეზობელი ქვეყნის) და ვერც საქართველოს უწმინდეს და უნეტარეს პატრიარქს იცავ თახსირი ნაცების შეურაცხყოფისგან, შენ ვერც სახელმწიფოს ღირსებას დაიცავ! და, ასეც არის! დაუჯერებელია,** მეგობრად წოდებული მეზობელი სახელმწიფო, ჩვენთან დაუსწრებლად გასამართლებულ და ძებნილ დამნაშავე პირებს თავისთან ასაქმებდეს მაღალ—მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე, ელჩს უცერემონიოდ გიგდებდეს, თანაც გლანძღავდეს, შენ კი, ამდენ შეურაცხყოფაზე ერთ დიპლომატიურ საპროტესტო ნოტასაც ვერ უგზავნიდე საპასუხოდ, ისევ ცალმხრივ ძმობას(!) ეფიცებოდე და ჰუმანიტარულ დახმარებასაც უგზავნიდე! თუ პირადი თავმოყვარეობა არ გაგაჩნია, სახელმწიფოებრივი ღირსება სად დაკარგე?!

**ამ ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს უნდა გავაგებინოთ, რომ მან ხელი აიღოს, არც კი იფიქროს ძალისმიერი ან, თუნდაც, ელექტრონული არჩევნების გაყალბების გზით ხელისუფლების დამხობაზე, რომ ამის მცდელობის შემთხვევაში მეზობელი რუსეთი უკრაინასთან მიმართებაში 2014 წელს დაშვებულ შეცდომას აღარ გაიმეორებს — დროს არ დაკარგავს და ჩვენს დაუკითხავად მყისიერად მოახდენს მთელი საქართველოს ოკუპაციას!**



7. **დაუჯერებელია** აბა რა, როცა ასეთ „ვაჟკაცებს“ — გვარამიას, გაბუნიას, მელიას და მისთანებს ბუზსაც ვერ უფრენ და **ბექა ვარდოსანიძეს** კი **სახლში უვარდები,** ოჯახს და მშობლებს შოკში აგდებ და პოლიციაში გააქანებ! და, რისთვის?! თურმე, არაფრისთვის, თურმე, — იმავე დღეს მისი უკანვე სახლში გაშვებაც შესაძლებელი ყოფილა! სირცხვილი არა გაქვს? ასეთი სამარცხვინო დაკავებები სააკაშვილის რეჟიმისთვის იყო დამახასიათებელი, 11 წლის შემდეგ გადმოგაქვს ნაცების მეთოდები? უკვე კარგა ხნის მოსულია დრო, რომ მომავალში ყოველთვის ერთად მოგიხსენიოთ, როგორც ქოც-ნაცები, თუმცა პრიორიტეტების გათვალისწინებით, ნაც-ქოცები უფრო შეგფერით!

8. **დაუჯერებელზე მეტია,** ყოველი ჩვენგანის დაცინვაა, როცა სააკაშვილის რეჟიმისგან გამწარებული ათი ათასობით ადამიანი (ალბათ, ასი ათასობითაც!) ლანძღვაგინებით მიწაში სდებს ნაცმოძრაობას, მის

# დაუჯერებელი...



აკრძალვას და პარტიის დამნაშავე ნაცაქტივისტების გასამართლებას ითხოვს, შენ კი, ხელისუფლებავ, ექოსავით, თუთიყუშივით იგივეს მიმეორებ, – კიდევ უფრო უარესი ეპითეტებით ახასიათებ ნაცებს და **სამართლის აღდგენის ნაცვლად ჩვენივე ნათქვამს უკანვე გვიბრუნებ, ნაცების მაგინებელი სიტყვებით ცდილობ იმ ხალხის გულის მოგებას,** რომელსაც სამართალი ვერ უპოვია, რადგანაც იგივე დამნაშავე პროკურორებს და მოსამართლეებს აწყდება სასამართლოებში, იმ მოსამართლეებს, რომლებმაც დაღუპეს იგი, წაართვეს ქონება და ჩასვეს ციხეში – ან მამა, ან შვილი, ანდა, – მამაც და შვილიც ერთად!

9. **დაუჯერებელზე მეტია**, **როცა ადამიანმა იცის პირადად სააკაშვილის და მისი რეჟიმის მიერ ჩადენილი რაგინდარა დანაშაულის შესახებ** (გაუპატიურება-ძარცვიდან მკვლელობასამშობლოს ღალატამდე!) **და მაინც „ნაცმოძრაობის“ პარტიის წევრია** ან – მისი განაყოფი თუ სატელიტი პარტიის და, ხელში ტრანსპარანტიც უჭირავს – „თავისუფლება მიშას“! ამ პარადოქსულ მოვლენას მხოლოდ ორი ახსნა აქვს: ან ტვინი აქვს ნაღრძობი და მკურნალობას საჭიროებს, ანდა – ნამუსგაყიდულია, რაც მკურნალობას ძნელად ემორჩილება, თუმცა, თუ დაფინანსების წყარო დაუშრა, შესაძლოა საღ აზროვნებასაც კი მიუბრუნდეს, ხოლო, თუ სხვამ მეტი გადაუხადა, საპირისპირო პოზიციის დამცველიც ადვილად გახდეს!

10. **დაუჯერებელია ხალხის მიამიტობის, გულუბრყვილობის – ცარიელ სიტყვაზე ნდობის ხარისხი!** რამდენჯერ უნდა დარწმუნდეს ეს ხალხი, რომ ბ-ნი ბიძინა კარგი კაცია, დიდი ქველმოქმედიც, შესანიშნავი სურვილები აქვს, მაგრამ ყოველ მოსვლაზე უხვად გაცემული დაპირებების განხორციელებას ვერ ახერხებს, რადგანაც **ძია სემი** (ჩვენი შორეული ახლობელი და ჩვენზე მზრუნველი!), მის მიერ საქართველოს კონტროლის მიზნით მოვლინებული ელჩების და მრჩევლების სახით, ამის ნებას არ აძლევს. ივანიშვილიც იძულებულია, ხან რა მოიფიქროს თავისი ნაბიჯების გასამართლებელი და ხან – რა. მერე ამით ქვეყანას რა შეღავათი? არავითარი! მის მილიარდებს უეჭველად მოეხსნება დადებული სანქციები, ჩვენ კი – „მშვიდობა“ და ამერიკის ინტერესებისთვის წამოწყებულ ახალ სამხედრო–„სამშვიდობო“ ოპერაციებში მონაწილეობა ჩვენივე ხარჯით! ხომ კარგად გაგვწრთვნეს და დაგვაჯერეს, რომ შორეულ აფრიკაშიც და აზიაშიც საქართველოს ვიცავდით მკერდით, და კვლავ დავიცავთ, თუ გვიბრძანებს ძია სემი!

**11. დაუჯერებელზე მეტია, როცა რამდენიმე თვის წინათ, რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით ღარიბაშვილისთვის ევროპაში დასმულ კითხვაზე, – თუ რატომ შეიჭრა რუსეთი უკრაინაში, ჩვენი პრემიერი თამამად და პირუთვნელად პასუხობს, რომ მიზეზი ნატოში წევრობისკენ უკრაინის ლტოლვაა (რაც გულისხმობს ნატოს რაკეტების განლაგებას უშუალოდ რუსეთის საზღვართან!). ეს ისედაც ყველასათვის ცხადი იყო, მაგრამ „სუვერენული“ სახელმწიფოს მეთაურის მიერ ასეთმა განმარტებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევრო – და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. თუმცა, მალევე, თავად ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგიც იძულებული იყო დაედასტურებინა ბ-ნი ირაკლის განაცხადი, რომ ომის მთავარი მიზეზი სწორედაც აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოება იყო. ამის დასტურად მან ისიც აღიარა, რომ პუტინი არ შეიჭრებოდა უკრაინაში, თუკი ჩვენ ხელს მოვაწერდით მის შემოთავაზებულ ხელშეკრულებას რუსეთის საზღვრებისკენ ნატოს არგაფართოების შესახებო და ამას, ჩვენ, რა თქმა უნდა, ხელი არ მოვაწერეთო. უკრაინაში ატეხილი უსასტიკესი ომის ძირითადი მიზეზი რომ ნატოს გაფართოებაა, ეს განაცხადა დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ გავლენიან მოაზროვნედ აღიარებულმა ამერიკელმა ჯონ მირშაიმერმაც (საინტერესოა მისი სხვა დასკვნაც პროფესორ სტივენ უოლტთან ერთად გაკეთებული დაახლოებით 20 წლის წინათ: „ამერიკის საგარეო პოლიტიკას პროისრაელური ლობი, ანუ ებრაული მაფია აკონტროლებს ტოტალურად“, რასაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭეშმარიტი სიმართლე უწოდა 82 წლის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა, – ალბათ, ასაკით გათამამებულმა);**

**და, მაინც, საკუთარი პრემიერის ზემოთქმულის მიუხედავად,** საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ვილნიუსში მიემგზავრება ნატოს სამიტზე, რათა ნატოში საქართველოს გაწევრების საქმე როგორმე წინ წასწიოს! ყრუც უნდა იყო და ბრმაც, ვერ ხედავდე იმ უბედურებას, რაც უკრაინის მიწაზე ხდება (რუსეთმა მოძმე სლავი უკრაინელები არ დაინდო და რუსეთის მეფეების დაარსებული ქალაქებიც მიწასთან გაასწორა)! **სრულ ჭკუაზე ვერ უნდა იყო კაცი, მით უფრო, სახელმწიფო მოღვაწე, რომ იცოდე ყველა ამ ფაქტის შესახებ და, მაინც მიისწრაფვოდე იქითკენ, რამაც დაღუპა ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო** (რომელმაც უკვე დაკარგა ნახევარი მილიონი ახალგაზრდა ქალვაჟი, უფრო მეტი კი დაუინვალიდდა. თავად უკრაინა კი, არავინ იცის როდის დადგება ფეხზე და დადგება თუ არა საერთოდ, როგორც სახელმწიფო)!

ეს შეუთანხმებლობაა თუ დაპირისპირება სახელისუფლებო გუნდში, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ კობახიძის მიერ ახალ თავდაცვის მინისტრად გამწესებული **ირაკლი ჩიქოვანი** აცხადებს: **„ნატოში ინტეგრაცია, სრული(!) ინტეგრაცია არის ჩვენი მიზანი, რომელიც გაწერილია კონსტიტუციით“!** ამაზე მეტი არაფერი უთქვამს უკრაინას! უბრალოდ, ამერიკის მხარდაჭერით გათამამებულმა ცოტა უკმეხად უპასუხა რუსეთს: შენ ვინ გეკითხება, მე დამოუკიდებელი სახელმწიფო ვარ და სადაც მინდა იქ გავწევრიანდებიო! ჰოდა, ჩვენ რის და ვის იმედზე ვცუნდრუკობთ, ნატოსკენ უაზრო ლტოლვას რად არ ვეშვებით? ისევ ამერიკის იმედზე ვართ, ის გვიშველის და ჩვენ გამო დაუწყებს რუსეთს ომს? განა უკრაინის მაგალითმა ოდნავ ტვინის განძრევა მაინც არ უნდა გვასწავლოს? **ყველანი იმ ჭკუაზე ხართ, რომ ნატო გვიშველის?** მართლა ასე ფიქრობთ? თუ, ასეა, მაშინ **გადასაყენებელ–გადასარჩევი კი არა, სამკურნალო ყოფილხართ!** აბა, უკრაინის ბედის გაზიარება ნორმალურ ადამიანს როგორ უნდა უნდოდეს!

**უკრაინის შემყურე, ცოტა მაინც გონს არ უნდა მოვეგოთ და რუსეთის გამაღიზიანებელ ზედმეტ ტლიკინს, ფიქრსაც კი – თითქოს ნატოში გაწევრება იყოს ჩვენ წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, არ უნდა შევეშვათ? თუკი, ქართველი ხალხის მისწრაფებებში დარწმუნებული ბრძანდები, თუ ვისთან და რა ხასიათის კავშირების დამყარება სურს მას, მაშინ გაბედე და ამერიკის უკითხავად(!) ერთი რეფერენდუმი მაინც ჩაატარე წამლად, და კარგად დაინახავ შენც და ამერიკაც ხალხის განწყობას!**

ერთი კითხვა მინდა დავუსვა ახლად დანიშნულებს – პრემიერს და თავდაცვის მინისტრს და, რაღა თქმა უნდა, ხელახლად მოსულ ივანიშვილს: ამერიკამ რომ რაღაც მიზეზით, თუნდაც, რუსეთის პროვოცირების მიზნით, უცებ გადაწყვიტოს ნატოში ჩვენი მიღება, – მაინტერესებს, სიხარულით ცას ეწევით და შემოჭრილი რუსეთის დასამარცხებლადაც მოემზადებით (უკრაინელებზე ნაკლები რითი ვართ – მოსახლეობით ვართ „რაცხა“ 10-ჯერ ნაკლები, თორემ სამაგიეროდ გული ხომ გვაქვს ბარე 10-ჯერ დიდი!), თუ შიშისგან ქვეშჩასვრილები ერთმანეთს გაასწრებთ საქართველოდან?! რუსეთი რომ აუცილებლად შემოიჭრება და უკრაინაზე „ნაკლებად“ არ მოგვექცევა, ეს ბევრჯერ აქვს გამეორებული მის პრეზიდენტს. თანაც, შემოიჭრება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, – უკრაინასთან დაშვებულ შეცდომას, როცა ორი თვის და ერთი კვირის განმავლობაში (2021 წლის 17 დეკემბრიდან 2022 წლის 24 თებერვლამდე) ჭოჭმანობდა და ფუჭ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ცალკე ამერიკასთან (ნატოსთან) და ცალკე – უკრაინასთან, ნამდვილად აღარ გაიმეორებს!

ჰოდა, უკრაინის შემყურე, ცოტა მაინც გონს არ უნდა მოვეგოთ და რუსეთის გამაღიზიანებელ ზედმეტ ტლიკინს, ფიქრსაც კი – თითქოს, ნატოში გაწევრება იყოს ჩვენ წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, არ უნდა შევეშვათ? თუკი, ქართველი ხალხის მისწრაფებებში დარწმუნებული ბრძანდები, თუ ვისთან და რა ხასიათის კავშირების დამყარება სურს მას, მაშინ გაბედე და **ამერიკის უკითხავად(!) ერთი რეფერენდუმი მაინც ჩაატარე წამლად, და კარგად დაინახავ შენც და ამერიკაც ხალხის განწყობას!**

ახლა კი დასკვნის სახით: დაუჯერებელს თუ არდასაჯერებელს რა გამოლევს, ჩამოთვლა ადვილია, არც სხვისი კრიტიკაა ძნელი, რახანია (სულ მცირე, – 2007 წლიდან) ამ ჩამოთვლაში – მამხილებელი სტატიების წერაში ვართ, მაგრამ შეიცვალა რამე? შენ ისა თქვი, რა უნდა ვიღონოთ, თორემ, წერე და იკითხე, სანამ არ მოგბეზრდებაო, – ასე იტყვის უმეტესობა ამ წერილის წამკითხავი და, ზუსტად ამ აზრის გახლავართ მეც. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თუ იმავე საშინაო და საგარეო პოლიტიკას გავყვებით, ჩვენი მდგომარეობა არსებითად არასოდეს შეიცვლება, არც ერთი მიმართულებით – არავითარ ეკონომიკურ თუ სხვა სასწაულს არ უნდა ველოდოთ და, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ადგილას, ჩვენი მთა-ველის და ზღვის მქონე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ჩვენზე გაცილებით მყარად იდგებოდა ფეხზე! ჩვენ კი, თითქმის, ყოველმხრივ იზოლირებულ მეზობელ სომხეთზე (რომელსაც ამის გამო ბევრი დამატებითი ხარჯის გაწევა უწევს ჩვენგან განსხვავებით!) წინ, სრულებითაც არა ვართ (მიუხედავად სისხლისმღვრელი ომისა და ყარაბაღიდან ლტოლვილებისა, ბევრი პროდუქტი და წამალიც იქ უფრო იაფია, ეკონომიკური წინსვლით კი ოდნავ გვისწრებს კიდეც).

მოკლედ, აღარ შეიძლება ასე უსასრულოდ ყურმოჭრილი მონის მდგომარეობაში ყოფნა. **არ შეიძლება:** მე, აბსოლუტურად ყველაფერი უსიტყვოდ შეგისრულო, შენი გულისთვის ვიომო კიდეც, სისხლიც დავღვარო და ჩემი გადაშენების პირას მყოფი ერის შვილების სიცოცხლეც შევწირო შენი ქვეყნის ინტერესებს, შენ კი, სიტყვით სტრატეგიულმა პარტნიორმა, ჩემი ქვეყნის ინტერესები, პირველ რიგში, – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკის ფეხზე დაყენება, არაფრად მიიჩნიო! შენ აბსოლუტურად არ გაღელვებს ჩემი პრობლემები და მათ გადასაჭრელად მეც მიკრძალავ ნაბიჯების გადადგმას – არათუ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის უფლებას არ მაძლევ, დალაპარაკებასაც კი მიკრძალავ რუსეთთან, იმ ერთადერთ „გონებით განუსჯელ“ (თ. ტიუტჩევი), იმპერიულ სახელმწიფოსთან, რომელთანაც მხოლოდ „კეთილმეზობლური“ ურთიერთობებით თუ მოხერხდება პერსპექტივაში(!) ჩემი დანაწევრებული ქვეყნის გამთლიანება! რუსეთის მხრიდან უვიზო რეჟიმის დაწესების და ავიარეისების აღდგენის გამო მკაცრი საყვედური გამომიცხადე, მანქანების რეექსპორტიც ამიკრძალე და, თან, რუსი ტურისტების სახით რუსეთის აგენტების მოზღვავებით დამაშინე. შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უსაზღვროდ გადამკიდე მეზობელ რუსეთს და „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ შენს „ძაღლიშვილ“ სააკაშვილს ომიც კი წამოაწყებინე რუსეთთან (კიდევ კარგი, კურდღელივით მშიშარა რომ აღმოჩნდა შენი შერჩეული პრეზიდენტი, თორემ ჩვენც ხომ უკრაინის ბედს გაცილებით ადრე – 2008 წელს გავიზიარებდით! შენი სესხებით დახმარებაც, ფაქტობრივად, უშედეგოა, რადგანაც მათი ჩვენ ჭკუაზე განკარგვა გვეკრძალება – ყოველი ნაბიჯი, თუ რაში უნდა დავხარჯოთ ეს „დახმარება“, თქვენ მიერ გვაქვს გაწერილი, რაც, ბუნებრივია, არაეფექტურს ხდის მას, ჩვენი ვალები კი კატასტროფულად იზრდება!

ცხადია, ყველაფრის ერთბაშად და პირში მიხლა, კარის გამოჯახუნება და კავშირების გაწყვეტა კარგს არაფერს მოგვიტანს, დაზიანებით კი სერიოზულად დაგვაზიანებს! მხოლოდ აუცილებელი უნდა ითქვას ძალიან მშვიდად, დოზირებულად, არგუმენტაციით და, რაღა თქმა უნდა, დიპლომატიური ენით ისე, რომ შემოსადავებელი არაფერი დავუტოვოთ!

**ამერიკას დღეს, ისევ განუსჯელი რუსეთის შიშით სულაც არა აქვს მიზნად დასახული საქართველოს გამთლიანება და მისი ეკონომიკურად ფეხზე დაყენება, არც – ნატოში ჩვენი მიღება, მას არ სურს, ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებით ბოლო პერიოდში გაჩენილი იმედის (ნათელი მომავლის) ნაპერწკალი რომ მანათობელ ცეცხლად გვექციოს ირაკლისნაირებმა! მისი მთავარი ამოცანაა საქართველოში ისეთივე აშკარა პროამერიკული ხელისუფლების მოყვანა, როგორიც სააკაშვილის დროს იყო, რომელიც კიდევ უფრო უტყვი იქნება, ვიდრე არსებული, ისევ მათი შერჩეული, მაგრამ ივანიშვილის ხელისუფლებად წოდებული. ესაა მთელი მისი ფილოსოფია! არა, სულ ეს არაა, არის კიდევ შეფარული მუქარაც, – რა მოგვივა ამერიკა თუ განაწყენდა და შემოგვწყრა – ჩვენი თავისუფალი ნების გამოვლენის და ჩვენ ჭკუაზე კონტაქტების დამყარების შემთხვევაში (როგორც, მაგალითად, ჩინეთთან) – თურმე, ვერც მშვიდობას შევინარჩუნებთ და ეკონომიკურადაც კიდევ უფრო დაგვერხევა! რა თქმა უნდა, არც უმაგისობაა, ნამდვილად გაგვიჭირდება დასაწყისში, მაგრამ ბევრს ვერაფერს გაბედავს, თუკი გვერდში დაგვიდგება, ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც, – მეზობელი რუსეთი და ახალი სტრატეგიული პარტნიორი შორეული ჩინეთი (აბა, დიპლომატია სხვა რაა, თუ არა იმპერიების დაპირისპირების გამოყენება!)!**

ამ ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს უნდა გავაგებინოთ, რომ მან ხელი აიღოს, არც კი იფიქროს ძალისმიერი ან, თუნდაც, ელექტრონული არჩევნების გაყალბების გზით ხელისუფლების დამხობაზე, რომ ამის მცდელობის შემთხვევაში მეზობელი რუსეთი უკრაინასთან მიმართებაში 2014 წელს დაშვებულ შეცდომას აღარ გაიმეორებს – დროს არ დაკარგავს და ჩვენ დაუკითხავად მყისიერად მოახდენს მთელი საქართველოს ოკუპაციას!

**თუკი, ამის თქმის თავიც არა გვაქვს და ისევ „შარვალჩახდილების“ პოლიტიკას გავაგრძელებთ (ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ყურმოჭრილი მონის პოზიციაში ყოფნა იგივე შარვალჩახდილის პოზაში ყოფნაა, – მორჩილების უმდაბლესი და სამარცხვინო ფორმით გამოხატვაა!), მაშინ ჩვენზე ზედგამოჭრილი იქნება ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილი სიტყვები: „ვინც დროებითი უსაფრთხოების სანაცვლოდ თავისუფლებას თმობს, იგი ღირსი არ არის არც თავისუფლების და არც – უსაფრთხოების“!**

**უკეთესად და უფრო გასაგებად, ვერც იტყვი!**



**იაკობ ლეჟავა,**

14 თებერვალი, 2024



# ევროპაში ერთ-ერთი უძვირესი კრედიტებით გამდიდრებულ ხაზარაძეს ქართველი ხალხი მალე გააგდებს პოლიტიკიდანაც და საქართველოდანაც?!

## ვაჟა ბერიძე: გააგდე, გადმოაგდე, დასაჯე, ბარემ 30-იან წლებში დავბრუნდეთ, ხაზარაძევ!

**„აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში და ბიძინა ივანიშვილი არჩევნების მერე იქნება მოსკოვში“**, – ასეთია **მამუკა ხაზარაძის** პოლიტიკური გზავნილი. **„ლელოს“ ლიდერი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რეპრესიებს აანონსებს და აცხადებს, რომ ივანიშვილი, რომელიც „ემსახურება კრემლს, პუტინის ინტერესებს საქართველოში, რომელმაც ჩააგდო ანაკლიის პროექტი, რომელმაც ქვეყანას დააკარგვინა უზარმაზარი შანსები და აკეთებს რუსულ პოლიტიკას, უნდა იყოს რუსეთში, მოსკოვში“.**

თუმცა, ეს არაა „ლელოს“ ერთადერთი საარჩევნო გზავნილი, რომელიც ქილიკის საფუძველი გახდა საზოგადოებაში. ქართველმა ამომრჩეველმა კარგად იცის, რომ ეს დაპირებაც ისეთივე უპერსპექტივოა, როგორც 1000-ლარიანი პენსია. ვიცე-პრემიერი და თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი** აცხადებს, რომ რასაც მამუკა ხაზარაძე აკეთებს, ერთი ერთში ემთხვევა იმას, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა და პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელიც აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მამუკა ხაზარაძეს, არის სრულ სინქრონში.

**„ე.წ. countdow ანუ, უკუთვლა, რომელიც არსებობს ხოლმე არჩევნებამდე, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება ბევრი პარტიის მიერ, მაგრამ გამოიყენება იმისათვის, რომ განაცხადონ, თუ რას გააკეთებენ კონკრეტულ ვადაში, ვიდრე არჩევნები ჩატარდება. მამუკა ხაზარაძემ ეს ყველაფერი გამოიყენა იმისთვის, რომ გამოაცხადა რეპრესიები და როდესაც ისინი დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ხელახლა აამოქმედონ ის რეპრესიული მანქანა, რომელიც იყო 2012 წლამდე; ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ადამიანები გაყარონ სახელმწიფოდან და მეორე მხრივ დაუპირისპირდნენ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეს და არ ემთხვეოდეს მათ აზრებს“**, – აღნიშნა **ირაკლი ჩიქოვანმა**.

ანალიტიკოს **ვაჟა ბერიძის** შეფასებით, ხაზარაძეს ბიზნესშიც აქვს თავისი სტილი და პოლიტიკაშიც ცდილობს, რომ თავისი სტილი დაამკვიდროს. თუ დღევანდელობიდან ცოტა დისტანცირებას მოვახდენთ, რაღაცა ახალია და ის ცდილობს, რომ პოლიტიკაში თქვას ახალი სიტყვა და ისეთივე წარმატებული იყოს, როგორიც იყო ბიზნესში, საბანკო სფეროში და ეს კარგია.

**„იმიტომ, რომ ჩვენ შემოდგომაზე ქართველ საზოგადოებას და დანარჩენ მსოფლიოს უნდა ვუთხრათ, რომ არჩევნები, რომელიც ჩავატარეთ, იყო სამართლიანი, საყოველთაო და კონკურენტუნარიანი. ამ შეფასების გარეშე ვერ ვიქნებით კმაყოფილი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებით. აი, ამ თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემაა ქართულ პოლიტიკაში.**

**ჯერჯერობით, ბიძინა ივანიშვილს და მის პარტიას სერიოზული კონკურენტი არ ჰყავს. მას ჰყავს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელთანაც შეჯიბრში ყოველთვის გამოვა გამარჯვებული. ან ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ივანიშვილი რამდენ ხანსაც მოინდომებს, იმდენ ხანს იქნება „ოცნება“ ხელისუფლებაში, ან უნდა შეიქმნას კონკურენტუნარიანი მოწინააღმდეგეები და არა მარტო ერთი“**, – აცხადებს **ბერიძე**.

მისი თქმით, ამას სჭირდება ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი, ეს რესურსი კეზერაშვილის ფულით, რომელიც ნაციონალების მიერ ბიუჯეტის ძარცვით, კორუფციით და იარაღის საერთაშორისო ვაჭრობით არის მიღებული, არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კათარზისგანცდილი „ნაცმოძრაობა“ ივანიშვილის პარტიის საპირწონედ ჩამოყალიბდეს.

„მაშინ ვინ, ასე ვთქვათ, მამუკა ხაზარაძე, რომელსაც აქვს ფინანსური რესურსი, მის გარშემო არის საკმაოდ საინტერესო ინტელექტუალური რესურსი, იქნება და ჩამოყალიბდეს. მაგრამ, ის, რასაც ხაზარაძე და მისი პარტია აკეთებს, პოლიტიკისგან შორს არის და სწორი მიმართულება არ ჩანს. არც ყრილობაზე გამოჩნდა სწორი მიმართულებით, არც ის პუნქტებია სწორი, რომელიც ძირითადად, არის რაღაცა რუსოფობიის პრევალირებით ჩამოყალიბებული. არც ის არ მინდა გამომრჩეს, რომ არის რაღაცა პედალირება ხაზარაძის კომკავშირულ წარსულზე. ის მართლაც იყო ერთ-ერთი ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი ახლანდელ ტექნიკურ უნივერსიტეტში, გამორჩეული იყო მაშინაც და კარგად მახსოვს.

ხაზარაძის ეს ამბავი გათვლილია პრიმიტივზე, ობივატელზე, ჩვენს საცოდავ ამომრჩეველზე, რომელსაც შეიძლება პოლიტიკის სიღრმეში ჩახედვა არ შეუძლია. რას ნიშნავს ივანიშვილი მოსკოვში უნდა გავაგდოთ? ეს არის ყოვლად მიუღებელი. მე, პირადად ვიცნობ ხაზარაძეს და როგორც სერიოზულ ბიზნესმენზე, ისეთი წარმოდგენა მაქვს და ასეთი იაფ-ფასიანი ლოზუნგი მას არ ეკადრება. რას ნიშნავს გავადგოთ მოსკოვში და სადმე კუნძულზე რომ წავიდეს, მერე რას შვრება?! მერე სხვა მოვა და იტყვის, რომ გავაძევოთ ხაზარაძე საქართველოდან, რომელიც საქართველოს მოსახლეობისთვის გაცემული ძვირი კრედიტებით გამდიდრდა. ისეთი ძვირი კრედიტებით, რომ მომგებიანობის კუთხით, ევროპაში მესამე ადგილზე იყო საქართველო საბანკო ბიზნესში. ეს ნიშნავს, რომ მდიდარი ადამიანების ფობია გვჭირს. არაა ეს მისაღები, სარფიანი და სასარგებლო. გააგდე, გადმოაგდე, დასაჯე, ბარემ 30-იან წლებში დავბრუნდეთ და ეგ არის“, – აღნიშნა **ვაჟა ბერიძემ**.

**თამთა ქარჩავა**

## 100-ლარიანი პენსია – ახალი წინასაარჩევნო ანკესი პენსიონერებისთვის

# „ლელოს“ უსინდისო ტრიუკები



**როგორც ყოველთვის, წინასაარჩევნოდ, აქტიურდება პენსიების გაზრდის დაპირება და ამ თემით, ხელისუფლებასთან ერთად, ოპოზიციაც ძალიან სარგებლობს. საქმე ისაა, რომ პენსიონერები საქართველოში ყველაზე დიდი საარჩევნო ელექტორატია და მათი გულის მოგება ყველასთვის მნიშვნელოვანია.**

თუმცა, ბოლო წლებში პენსიის გაზრდის დაპირებამ მანიპულაციური ხასიათი მიიღო. ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია, გამარჯვების შემთხვევაში, ხანდაზმულ ადამიანებს უკვე ოთხნიშნა პენსიას ჰპირდება. 1000-ლარიანი დაპირება მაცდურად კი გამოიყურება, მაგრამ საქართველოს პირობებში აბსოლუტურად არარეალურს ჰგავს. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, **არჩილ თალაკვაძის** განცხადებით, პენსიების 1000 ლარამდე ზრდასთან დაკავშირებით პარტია „ლელოს“ დაპირება წმინდა წყლის პოპულიზმი და რეალობას მოწყვეტილია. რა ვადებშიც „ლელო“ მოქალაქეებს პენსიის 1000 ლარამდე გაზრდას ჰპირდება, მათემატიკურ ლოგიკას მოკლებულია.

როგორც თალაკვაძე აღნიშნავს, პენსია ინდექსირებულია და მომავალ წლებში, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ავტომატურად გაიზრდება.

**„ეს არის წმინდა წყლის პოპულიზმი და, რა თქმა უნდა, პოპულიზმი აზიანებს ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესს. რა თქმა უნდა, ეს არის არარეალური დაპირება და რეალობას მოწყვეტილია. პენსიონერებს სახელმწიფოსგან არა მხოლოდ საპენსიო მხარდაჭერა, არამედ სხვა სოციალური ბენეფიტები აქვთ, დაწყებული სატრანსპორტო შეღავათებიდან, გაგრძელებული ჯანდაცვით“**, – განაცხადა **თალაკვაძემ**.

იგივეს ამტკიცებს უმრავლესობის სხვა დეპუტატებიც. დეპუტატ **გივი მიქანაძის** შეფასებით, 1000-ლარიანი პენსიის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე, ფიზიკურად შეუძლებელია და „ლელოს“ დაპირება ჩანასახშივე ტყუილია.

იმ რეალობიდან გამომდინარე, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, ფიზიკურად შეუძლებელია, რომ 1000-ლარიანი პენსიის დანაპირები სიმართლესთან ახლოს იყოს.

**„ბოლო პერიოდში ამაზე საუბრობენ სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც. მათ ეცინებათ, ეღიმებათ კიდეც ამ განცხადებაზე იმიტომ, რომ ეს არის ჩანასახშივე ტყუილი, გამომდინარე იქიდან, რომ 1000-ლარიანი პენსიის უზრუნველყოფა ამ ეტაპზე, ფიზიკურად შეუძლებელია. თუმცა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა თავის საპროგრამო გამოსვლაში ცალსახად განაცხადა, რომ პენსია მუდმივ რეჟიმში უნდა იზრდებოდეს და სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ჩვენს მოქალაქეებზე, მაქსიმალურად მხარში უნდა დაუდგეს. ეს პროცესი გაგრძელდება ირაკლი კობახიძის პრემიერ-მინისტრობის დროსაც“**, – განაცხადა **მიქანაძემ**.

სულ სხვაგვარად ფიქრობენ ოპოზიციაში. „ლელოს“ გენერალური მდივანი **ირაკლი კუპრაძე** ამტკიცებს, რომ ამ იდეის განხორციელება რეალურია.

მისი ინფორმაციით, ხელისუფლებაში „ლელოს“ მოსვლის შემთხვევაში, ისინი პენსიას პირველივე თვეს 300 ლარით გაზრდიან.

**„პენსია რამდენი უნდა იყოს ამ ქვეყანაში - ამის თქმა საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ რამდენი შეუძლია „ლელოს“ პენსია შესთავაზოს მოქალაქეებს და ეს დაპირება იყოს რეალური თავისი ეკონომიკური დასაბუთებით, ეს არის 1000 ლარი. „ლელოს“ შეუძლია, რომ შეასრულოს ის პირობა, რომ ხანდაზმულ მოქალაქეს ჰქონდეს 1000-ლარიანი პენსია. ეს არის პირველივე 4-წლიანი ვადა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, რომ 1000 ლარამდე აიყვანოს პენსია ხანდაზმულების, რომლებიც შიმშილობენ, მედიკამენტებზე არ ჰყოფნით პენსია, რომ გადახედოთ ბაზრობებს და იმ სივრცეებს, სადაც ყველაზე გაჭირვებულები მუშაობენ, არიან პენსიონერები. პირველივე 30 დღეში შეიძლება, რომ 200-დან 300 ლარამდე მატება მოხდეს“**, – განაცხადა **კუპრაძემ**.

ამ თემასთან დაკავშირებით გამოხმაურება მოუწია ახლად დანიშნულ პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძესაც**. მან პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას „ლელოს“ პოზიცია სხვა კუთხითაც შეაფასა და მას ყალბი უწოდა.

**„სხვათა შორის, ერთ-ერთი პარტია – „ლელო“ დღესაც ითხოვს რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, რითიც საქართველო ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს რუსეთს, მაგრამ გაანადგურებს საკუთარ ეკონომიკას. ეს არ არის მტრობა? იმავდროულად, გვპირდებიან 1000-ლარიან პენსიას ქართველი პენსიონერებისთვის, ანუ ეკონომიკა უნდა დაანგრიონ და პენსია უნდა გახადონ 1000 ლარი. აქედან ჩანს, ერთი, მტრული სულისკვეთება, ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი და, მეორე, ჩანს, რამდენად ყალბია მათი დაპირებები“**, – განაცხადა **კობახიძემ**.

საყურადღებოა, რომ საქართველოში პენსიონერთა რაოდენობა მუდმივად იზრდება და გამონაკლისი არც შარშანდელი წელი ყოფილა.

**2023 წლის მონაცემებით, პენსია საქართველოში 838 100 ადამიანი იღებდა, მაშინ, როდესაც 2022 წელს პენსიონერთა რაოდენობა 808 097 იყო, ხოლო 2021 წელს – 793 751. „საქსტატის“ მონაცემებით, მთლიანი რაოდენობიდან 71.1% ქალია, 28.9% – კაცი. პენსიის მიმღებთა 30.3 პროცენტი თბილისშია თავმოყრილი, 15.8 პროცენტი – იმერეთში, 10.5 პროცენტი – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 10.0 პროცენტი – ქვემო ქართლში, 8.7 პროცენტი – კახეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 24.8 პროცენტია.**

**ბექა დანელია**



# თბილისში საცხოვრებელი ბინები კიდევ 33 ოჯახს დაუკანონდა

**თბილისის მერმა, კახა კალაძემ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გუშინ საბურთალოს, ვაკის, ისნის, მთაწმინდის, კრწანისისა და სამგორის რაიონში მცხოვრებ 33 ოჯახს გადასცა.**

წლების განმავლობაში დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართები ამ ოჯახებს სიმბოლურ 1 ლარად გადაეცათ.

**„დღეს 33 ოჯახს გადავეცით საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები. ეს ის ფართებია, სადაც ეს ადამიანები ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდებოდა მათი დაკანონება. 2017 წლიდან, როდესაც დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობამ ამირჩია, დავიწყეთ აღნიშნული პროგრამის განხორციელება და 3000-მდე ოჯახი უკვე დაკმაყოფილებულია და გადაცემული აქვთ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები. რა თქმა უნდა, ეს პროგრამა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ამ პრობლემის მქონე ყველა ოჯახი არ დაკმაყოფილდება“.**

წლობით დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა 2017 წლიდან კახა კალაძის ინიციატივით დაიწყო. ღონისძიებას, თბილისის მერთან ერთად, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი თავართქილაძე, შესაბამისი რაიონების გამგებლები, საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

# ფოთის მერი: ჩვენი მთავარი პრიორიტეტი გზების კეთილმოწყობაზე ზრუნვაა!



**ფოთში შავი ზღვის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების ეტაპზეა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან გიორგი თოლორდავასთან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა. პროექტის ფარგლებში დაიგო 3 ფენა ასფალტო-ბეტონის გზის საფარი, მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები, დამონტაჟდა საგზაო ნიშნები.

მიმდინარეობს ტროტუარების და ეზოს შესასვლელების რეაბილიტაცია. განხორციელდება გზის სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა.

# გიდების პირველი საერთაშორისო კონფერენცია ბათუმში

**ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, კონფერენციაში, ქართველ მომხსენებლებთან ერთად, პორტუგალიის, პოლონეთის, სამხრეთ აფრიკისა და ისრაელის წარმომადგენლები, მოწვეული გიდები და ტურიზმის სფეროს ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.

კონფერენციაზე წარმოდგენილია ტურისტული გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია, ასევე პორტუგალიის ტურისტული გიდებისა და ტურ-მენეჯერთა ასოციაცია და სხვა მნიშვნელოვანი ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

კონფერენციაზე დასწრება გიდებისათვის, თემატური ასოციაციებისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებისათვის თავისუფალია. მსურველებმა წინასწარი რეგისტრაცია კონფერენციის წინ უნდა გაიარონ.




# ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ფართოვდება

**15 თებერვალი ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების საერთაშორისო დღეა. 2023 წელს, სახელმწიფომ, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების სამკურნალოდ უპრეცედენტო პროგრამა დაიწყო – ყველა ბენეფიციარს მკურნალობა როგორც საქართველოში, ისე – ესპანეთის, ისრაელისა და თურქეთის წამყვან, მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებებში სრულად უფინანსდება,** – ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, **ახლახან, პროგრამა გაფართოვდა, 3 ახალი კლინიკა დაემატა. ბენეფიციარებს, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას „აჭიბადემის ჰოსპიტალი“, „ლივ ჰოსპიტალი“ და „ჰოსპიტალი მემორიალი“ უკვე აწვდიან.**

**„ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების მკურნალობა უკვე 6 კლინიკაშია შესაძლებელი, მათ შორის ისრაელისა და ესპანეთის მაღალტექნოლოგიურ, მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრებში. ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ევროპის სხვა წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთანაც. ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა 2023 წლის აგვისტოში ამოქმედდა. დღემდე, პროგრამაში 50-ზე მეტი ბავშვია ჩართული. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება დიაგნოსტიკა და მკურნალობის კურსი – ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ოპერაციული ჩარევა და პროტონოთერაპია.**

**18 წლამდე ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპია, საქართველოში თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის გახსნამდე, რომელიც ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა 2022 წლის დეკემბერში დააანონსა. აღნიშნულ ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი ერთ სივრცეში. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურ სამუშაოებს ახორციელებს“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.



# საქართველოს ტურისტულ პოტენციალს სტამბოლის გამოფენა EMITT 2024-ზე გაეცნენ

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ თურქეთში, სტამბოლის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში EMITT 2024 მიიღო მონაწილეობა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სტამბოლის გამოფენაში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და კერძო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**„საქართველოს სტენდთან გამოფენის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს. გამოფენის ფარგლებში, თურქეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით, შეხვედრები გაიმართა თურქ ტუროპერატორებთან, მოეწყო პრეზენტაცია და საიმიჯო ვიდეორგოლების ჩვენება.**

**3-დღიან გამოფენას მსოფლიოს 95 ქვეყნიდან 595 ტურისტული ორგანიზაცია და კომპანია, ასევე 150-ზე მეტი ტუროპერატორი ესწრებოდა. EMITT 2024-ს 30 ათასამდე ვიზიტორი ეწვია“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.




# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ნაზის“ მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის ტერიტორიაზე ცხოველთა სასაკლაოს ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 6 მარტი, 14:00 საათი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **7 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 8 თებერვალი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# გერმანიას მუსლიმები უტევენ!



**გერმანიაში, ახალი პოლიტიკური მოძრაობა დარეგისტრირდა, სახელწოდებით, DAVA – მრავალფეროვნებისა და აღორძინების დემოკრატიული ალიანსი, რომლის დამაარსებლები გერმანიის თურქულენოვანი მოქალაქეები არიან და რომელმაც, შექმნისთანავე, დიდი ხმაური გამოიწვია. დამაარსებლები იმედოვნებენ, რომ მოძრაობა, მალე, პარტიად იქცევა, და მორიგ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას.**

ასეთი რამ, არც გერმანიაში და არც რომელიმე ევროპულ სახელმწიფოში არასოდეს არ მომხდარა. დასავლური პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, არა ეთნიკურ-რელიგიურ, არამედ, რომელიღაც იდეოლოგიურ ბაზაზე იქმნება ხოლმე. არსებობს ერთეული გამონაკლისი, როცა ევროპის რომელიმე ქვეყანაში მოქმედი რომელიმე პარტია ეროვნული უმცირესობის ინტერესს გამოხატავს, მაგალითად, სამხრეთ ტიროლელთა პარტია ჩრდილოეთ-იტალიაში, დანიური უმცირესობის პარტია გერმანიის შლეზვიგ ჰოლშტეინის მხარეში, კატალონიური პარტია ესპანეთში და სხვა, მაგრამ, ყველა ეს პარტია მცირე ზომის რეგიონული პოლიტიკური გაერთიანებაა და ისტორიულად იქ მცხოვრები უმცირესობების მისწრაფებებს გამოხატავს. გერმანიის შემთხვევაში კი, სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ამ ახალი მოძრაობის დამაარსებლებს სურთ, გერმანიაში არსებობდეს მუსლიმთა, ან, თუნდაც, თურქულენოვანთა პარტია. საქმე ისაა, რომ გერმანიის თურქულენოვანი მოსახლეობა და, ზოგადად, მუსლიმები, გერმანიაში, არ წარმოადგენენ ისტორიულ უმცირესობას. ისინი ახალი თაობის მიგრანტები არიან.

გერმანიაში, ყველაზე მეტი მიგრანტი თურქეთიდანაა – სამ მილიონზე მეტი! მათი გერმანული ცხოვრების ისტორია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა ახალ დემოკრატიულ გერმანიას მუშახელი სჭირდებოდა და ხელისუფლებამ თურქებს ქვეყანაში დასახლების ნება მისცა. თურქების პირველი ნაკადი, სწორედ, მაშინ დაიძრა დოიჩლანდისკენ. 70-იან და 80-იან წლებში, მათ თურქი პოლიტ-მიგრანტები დაემატნენ, რადგან, თურქეთში რამდენიმე სამხედრო გადატრიალება მოხდა და გერმანიამ ხუნტისგან გაქცეულებს თავშესაფარი მისცა. ქვეყანაში დღეს, ექვს მილიონამდე მუსლიმი ცხოვრობს. ახალი მოძრაობის დამფუძნებლებს სურთ, ამ ვეებერთელა ელექტორატის წარმომადგენლები იყვნენ.

გაირკვა, რომ მოძრაობის სახელი **DAVA** არა მხოლოდ უწყინარი შემოკლებაა, არამედ, ისლამის შესახებ ცოდნის გავრცელებასაც ნიშნავს. შემოკლების ასეთმა მნიშვნელობამ ცალკე ვნებათა ღელვა გამოიწვია, რადგან, გერმანელებმა დაინახეს, რომ მის უკან ისლამის პროპაგანდის იდეა იმალება. მოძრაობის დამფუძნებლები კი, ამბობენ, ეს უბრალო ლექსიკური დამთხვევაა და სხვა არაფერიო, მაგრამ გერმანელმა საზოგადოებამ ასეთი განმარტება არ მიიღო, რადგან, ბოლო დროს განვითარებულმა ამბებმა ცხადყო, რომ აღმოსავლელი მიგრანტები დასავლურ დემოკრატიულ ფასეულობებს არ აღიარებენ.

ფაქტობრივად, გერმანიაში, პარალელური საზოგადოება შეიქმნა. გერმანელებმა თავისი თვალით დაინახეს და საკუთარი ყურით გაიგონეს, როგორი რეაქცია ჰქონდა მოსახლეობის ამ ნაწილს ისრაელში მომხდარი შვიდი ოქტომბრის ტერაქტებზე. ისინი ზეიმობდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მოგვიანებით, უშიშროების სამსახურებმა განაცხადეს, რომ ევროპაში არსებობს რადიკალური ისლამის გავრცელების საშიშროება.

აი, ასეთ ფონზე შეიქმნა და ვითარდება ეს მოძრაობა. ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ მოძრაობის დაარსება ულტრამემარჯვენეების წისქვილზე ასხამს წყალს, მიაჩნიათ რა, რომ მულტიკულტურალიზმმა არ გაამართლა. მათი აზრით, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან მიგრანტების ნაკადი მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, რომ ევროპამ თავისი ძირძველი კულტურა და ფასეულობები არ დაკარგოს.

# ახალგაზრდა „დიქტატორმა“ სალვადორი თვალში გამოახედა!



**4 თებერვალს, ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, ელ-სალვადორში, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სალვადორის კონსტიტუცია ერთი და იგივე პიროვნების ორი ვადით არჩევას კრძალავს, ქვეყნის პრეზიდენტი, მეორე ვადით, 42 წლის ნაიბ-არმანდო-ბუკელე-ორტეზი იქნება. ხელახლა კენჭისყრის ნება ბუკელეს უზენაესმა სასამართლომ დართო. საპარლამენტო არჩევნებიც ბუკელეს პარტიამ მოიგო, რომელსაც, 60-ადგილიან პარლამენტში 58 დეპუტატი ეყოლება. ერთი სიტყვით, ბუკელე და მისი პარტია, კიდევ ხუთი წლით გააკონტროლებს ქვეყანას. ოპოზიცია დიქტატორს უწოდებს, მაგრამ თავად ბუკელე სულ არ თაკილობს ამ სიტყვას. დიქტატორი უძახე და, სალვადორის მოსახლეობის ორი მესამედი უჭერს მხარს. ამიტომაა, რომ დასავლეთმა დემოკრატიულად არჩეული დიქტატორი შეარქვა.**

რატომაა ბუკელე ასეთი პოპულარული? ვნახოთ, იქნებ, ქვეყნის უახლესმა ისტორიამ გაგვცეს პასუხი. სალვადორი მცირე ზომის, მჭიდროდ დასახლებული ლათინურ-ამერიკული ქვეყანაა ექვსმილიონზე ოდნავ მეტი მოსახლეობით. ეკონომიკური არა, მაგრამ მსოფლიო დონის გეოპოლიტიკური წონა ნამდვილად აქვს: გადებული ხიდია სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას შორის. ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად, სალვადორსაც სჭირდება კრიმინალთან გამკლავება, რომელიც ბოლო 30 წელია, პირველ ადგილზეა მსოფლიოში მკვლელობათა სიხშირით. ქვეყანას დიდი ხნის მანძილზე, განგსტერთა ორი ცნობილი ბანდა აკონტროლებდა, რომელიც სალვადორელმა მიგრანტებმა ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში დააარსეს, მაგრამ მათი მთავარი ბუდე სალვადორშია. ბანდის წევრები განსაკუთრებული სისასტიკით არიან ცნობილნი. გარეგნობითაც გამოირჩევიან. თითქმის, მთელი ტანი აქვთ ტატუირებული. გასული საუკუნის 90-იან წლებში, სალვადორი ღარიბი ქვეყანა იყო, რითიც კრიმინალებმა ისარგებლეს და ქვეყანაში ღრმად გაიდგეს ფესვები. ბევრი ღარიბი, უმუშევარი სალვადორელი, ფულის საშოვრად, ბანდის წევრი ხდებოდა.

ასე იქცა პატარა ელ-სალვადორი სასტიკი ნარკობანდების სამოთხედ. ამ ორი ბანდის გავლენა მთელს ამერიკას მოედო. ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდებოდა, 2019 წელს სალვადორის სათავეში პოლიტიკოსი, ნაიბ-ბუკელე რომ არ მოსულიყო. არჩევნები იმით მოიგო, რომ სალვადორის მოსახლეობას ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლას შეჰპირდა. დაპირებების მეტს რას აკეთებენ პოლიტიკოსები, მაგრამ, ბუკელე ისეთი სიტყვის კაცი და, თან, ისეთი კერკეტი კაკალი გამოდგა, რომ პრეზიდენტობის პირველივე დღიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა კრიმინალის წინააღმდეგ.

მან საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და კრიმინალთან ბრძოლაში ქვეყნის სამხედრო ძალები ჩართო, პოლიცია არასანდო კადრებისგან გაწმინდა და კარგად შეაიარაღა, განსაკუთრებული კანონები შემოიღო და სამართალდამცველებს მოქმედების კარტ-ბლანში მისცა, შეზღუდა დაჭერილთა უფლებები, ციხეში პაემნები და ტელეკომუნიკაცია გააუქმა, ბანდის წევრებს ადვოკატის აყვანა აუკრძალა და ასე შემდეგ.

ქვეყნის ოპოზიციამ და ადამიანის უფლებების დამცველებმა საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩივილი დაიწყეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან, ქვეყნის შიგნით ბუკელე დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა. მისი ბრძანებით, მსოფლიოში ყველაზე დიდი და მკაცრი ციხე აშენდა, სადაც, ადამიანის უფლებები მთლიანადაა შეზღუდული. ამავე დროს, ამ ყველაფრიდან, ერთი დიდი სიკეთე გამოვიდა: ქვეყანაში კრიმინალი განახევრდა. მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. მდგომარეობა ისე დასტაბილურდა, რომ 2023 წელს, აქ მსოფლიოს სილამაზის კონკურსი ჩატარდა. სალვადორის მოსახლეობა მზადაა, უარი თქვას უფლებებზე, ოღონდ, წესრიგი დამყარდეს. ბუკელემ მთელს ლათინურ ამერიკაში მოიპოვა პოპულარობა. უფრო მეტიც, პოლიტოლოგიაში ახალი ტერმინი გაჩნდა – ბუკელიზმი.

რა თქმა უნდა, დასავლეთი ამას არ იმჩნევს და მწვავედ აკრიტიკებს ბუკელეს, მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩება, რაც არ უნდა ხუჭო მასზე თვალი: ლიბერალურმა მიდგომამ ლათინურ ამერიკაში კრიმინალი ვერ დაამარცხა.

# ილონ მასკი მომავლის ადამიანს ქმნის!

**ცნობილი ამერიკელი მილიარდერის, ილონ მასკის კუთვნილმა კომპანია Neuralink-მა, 1024 ციფრული გადამცემითა და უფაქიზესი ელექტროდებით აღჭურვილი ნეიროჩიპი, სახელწოდებით, ტელეპატია, ადამიანის თავის ტვინში ჩანერგა. ჩიპი ტვინის იმ ნაწილში მოთავსდა, რომელიც ჩვენი მოქმედების სურვილს აკონტროლებს, ანუ, ტვინის სიგნალს იჭერს და გადასცემს სხვა მოწყობილობებს, რომელიც სიგნალს შიფრავს და ადგენს, რის გაკეთებას აპირებს ადამიანი. ჩიპი შესაძლებელს ხდის, ადამიანის ფიქრის ძალით, ტელეფონის, კომპიუტერისა და სხვა მოწყობილობათა მართვას.**



Neuralink-ის ცნობით, პაციენტი რეაბილიტაციის პროცესშია, რის შემდეგ ჩიპის ტესტირება დაიწყება. მეცნიერთა აზრით, ილონ მასკის კომპანიის მიერ ჩატარებული ოპერაცია მსოფლიო დონის მიღწევაა. ვარაუდობენ, რომ ჩიპის იმპლანტაცია მრავალი დაავადების განკურნებას, ან პრევენციას შეუწყობს ხელს, მაგალითად, ინსულტის, დამბლის და სხვა. ითქვა, რომ მასკის კომპანია არ არის პირველი, რომელიც ამ დარგში ექსპერიმენტებს ატარებს. ჩიპის ტვინში ჩანერგვამ არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილმა, ვისაც მიაჩნია, რომ მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ზედმეტად სწრაფი ნაბიჯები იდგმება, ეჭვის თვალით შეხედა ექსპერიმენტს. ზოგი, პირიქით, ამტკიცებს, რომ გამოგონება დიდი მიღწევების საწინდარია მედიცინაში. მართლა არის თუ არა რამე საშიში ამ მეცნიერულ ინოვაციაში? ცხადია, არსებობს სიფრთხილის განცდა, რადგან, ეს ადამიანისთვის უცნობ სამყაროში შებიჯებას ნიშნავს, სამყაროში, სადაც ხელოვნური ინტელექტი და, ზოგადად, უმაღლესი ტექნოლოგიები ელვისებური სისწრაფით ვითარდება. წარმოიშვა უამრავი კითხვა, ტექნიკურიც და ეთიკურიც, რომელზეც, პასუხი ჯერ არ ჩანს. მაგალითად, ადამიანის დაუცველობა ტექნოლოგიათა წინაშე: ჩვეულებრივ ჰაკერს შეუძლია, წამებში გატეხოს პროგრამა და ხელში ჩაიგდოს მავანისთვის უაღრესად სენსიტიური ინფორმაცია. შეიძლება, აღმოჩნდეს, რომ ერთ ადამიანს, თავისი ჩიპის მეშვეობით, მეორე ადამიანის ჩიპზე ჰქონდეს წვდომა, ანუ, შენ რასაც ფიქრობ, მე ყველაფერი მეცოდინება, თან, მომენტალურად.

მეცნიერები ამბობენ, არაო, მაგრამ, ვინ იცის, რას გვიქადის მომავალი. ილონ მასკი არ მალავს, რომ მომავლის ადამიანის შექმნა სურს, რომელშიც, ხელოვნური ინტელექტი და ადამიანის ტვინი ერთმანეთს შეერწყმის. მასკიც და მისი გენიალური გამომგონებლებიც გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი ეს ადამიანის სამსახურში ჩადგება მისდა სასიკეთოდ. ზუსტად ასე ამშვიდებდნენ კაცობრიობას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბირთვული იარაღის გამომგონებლები, მაგრამ, თავად ამ გამანადგურებელი იარაღის მამას, რობერტ ოპენჰაიმერს, ცხოვრების ბოლომდე სინდისი ქენჯნიდა, თურმე, ეს რა ვქენიო.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# თუ სომხეთი გონს არ მოეგება, მშვიდობიანი შეთანხმება არ იქნება!!!



**„ომის შემდგომ პერიოდში ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი პრინციპული პოზიცია ყველა საკითხზე. გაცხადებული იყო, რომ სომხურმა მხარემ უნდა შეასრულოს მის მიერ აღებული ყველა ვალდებულება“,** – აღნიშნა აზერბაიჯანის ლიდერმა ილჰამ ალიევმა ინაუგურაციის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, დროთა განმავლობაში აზერბაიჯანი კვლავ გახდა მის მიმართ მორიგი ტერიტორიული პრეტენზიების მოწმე.

**„სომხეთს, როგორც ჩანს, დაავიწყდა ყარაბაღის მეორე ომის შედეგები. ან, შესაძლოა, ვინმემ წააქეზა ისინი, რომ სულაც არ შეასრულონ ეს ვალდებულებები“,** – განაცხადა ალიევმა. ამასთან, ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის არმიამ თავისი ძალა აჩვენა არა წვთნებში ან აღლუმებზე, არამედ ბრძოლის ველზე.

**„სომხეთმა და მათ, ვინც მის სამხედრო მხარდაჭერას უზრუნველყოფს, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ არაფერი შეგვაჩერებს. თუ ჩვენს წინააღმდეგ ტერიტორიული პრეტენზიები არ დასრულდება, თუ სომხეთი თავის კანონმდებლობას არ მოიყვანს ნორმალურ მდგომარეობაში, მაშინ ბუნებრივია, რომ მშვიდობიანი შეთანხმება არ იქნება“,** – განაცხადა ალიევმა.

# ისრაელის შეტევა რაფაჰზე ეს ჰუმანიტარული კატასტროფაა!

**„რაფაჰში 1,3 მილიონი ადამიანია, მათ ნამდვილად არ აქვთ ახლა სხვაგან წასასვლელი. თუ ისრაელი წამოიწყებს შეტევას რაფაჰში, ამ პირობებში ეს იქნება ჰუმანიტარული კატასტროფა“,** – აღნიშნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა. მან ისიც განაცხადა, რომ გერმანია უბიძგებს ევროკავშირს, იმუშაოს სანქციებზე ისრაელელების მიმართ, რომლებიც თავს ესხმიან პალესტინელებს დასავლეთ სანაპიროზე.

**„მოდით, ერთად შევთანხმდეთ სანქციებზე ევროპაში. ამისთვის ჩვენ გვჭირდება 27-ვე წევრი ქვეყნის თანხმობა. ჩვენ, გერმანელებმა, ეს წინადადება ევროპულ გზაზე გავიტანეთ“,** – აღნიშნა ბერბოკმა.



ბერბოკის განცხადებას შეუერთდნენ კანადის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრებიც. ბერბოკის განცხადებას შეუერთდნენ კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრებიც. განცხადებაში ისინი ისრაელს მოუწოდებენ, არ განახორციელოს შეტევა, თუმცა ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ცეცხლის შეწყვეტა არ შეიძლება იყოს „ცალმხრივი“ და მოითხოვენ „ჰამასისგან“ მძევლების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

# შვეიცარია უკრაინის ომის გამო სამხედრო ხარჯებს გაზრდის

**შვეიცარიამ 2023 წელს შეიარაღებული ძალების აღჭურვისთვის 1,9 მილიარდი ფრანკი გამოყო. „არსებული არასტაბილურობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების პოლიტიკის ვითარება აშკარად რთულია ევროპის კონტინენტზე ომის, ახლო აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტებისა და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენების გამო“,** – განაცხადა შვეიცარიის პრეზიდენტმა, ვიოლა ამჰერდმა პრესკონფერენციაზე.

ამასთან, შვეიცარიის მთავრობამ განაცხადა, რომ მოითხოვს 5,53 მილიარდი აშშ დოლარის კრედიტს ახალი სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, მათ შორის მართვადი რაკეტებისა და საკომუნიკაციო სისტემების გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, შვეიცარია ააშენებს მონაცემთა დამუშავების ახალ ცენტრს, რომელიც სამხედროებისთვის იქნება განკუთვნილი. მანამდე გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ გერმანია და ევროპის თავდაცვის ინდუსტრია უნდა გადაერთონ იარაღის მასობრივ წარმოებაზე, რადგან უკრაინაში ომმა გამოავლინა, როგორ იბრძოდნენ ევროპელი მწარმოებლები საბრძოლო მასალაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

# რუსეთის კოსმოსური იარაღი აშშ-ის თანამგზავრზეა დამიზნებული

**რუსეთი ავითარებს კოსმოსურ ბირთვულ იარაღს, რომელიც შექმნილია აშშ-ის თანამგზავრებისთვის დასამიზნებლად,** – ამის შესახებ „ენბისი ნიუსი“ სამ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელმა, მაიკ ტერნერმა აშშ-ის პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს მოუწოდა, გაასაჯაროოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც „ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ საშიშროებას“ ეხება.

ტერნერმა თქვა, რომ მისმა კომიტეტმა „კონგრესის ყველა წევრს მიაწოდა ინფორმაცია სერიოზული საფრთხის შესახებ“. „ენბისი ნიუსის“ სამი წყაროს ინფორმაციით, ტერნერი გულისხმობდა რუსეთის ძალისხმევას კოსმოსში ბირთვული იარაღის განთავსებაზე, რომელსაც შეეძლო იმ თანამგზავრების განადგურება, რომლებიც გადამწყვეტია აშშ-ის სამოქალაქო კომუნიკაციებისთვის, ნავიგაციის, სამხედრო ოპერაციებისა და დაზვერვის მასალების შეგროვებისთვის. როგორც „ენბისი ნიუსი“ წერს, თეთრი სახლის ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ საქმე „სერიოზულადაა“, მაგრამ არსებობს გზები, რათა „შეაკავონ“ საფრთხე მასობრივი პანიკის გამოწვევის გარეშე.

# სარკოზის ერთწლიანი პატიმრობა მოუწევს...

**საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზისთვის ერთწლიანი პატიმრობა, საიდანაც სასჯელის ნახევარი პირობითია. ნიკოლა სარკოზიმ შეიძლება, პირობითი სასჯელი მოიხადოს ალტერნატიული საშუალებებით, როგორიცაა ელექტრონული სამაჯურის ტარება ციხის გარეშე.**



ნიკოლა სარკოზის 2012 წლის კამპანიის უკანონო დაფინანსებას ედავებიან. ნიკოლა სარკოზი უარყოფს ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ მისი „რესპუბლიკელების“ პარტია მუშაობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმა „ბიგმალიონთან“ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დასამალად. საფრანგეთი აწესებს მკაცრ შეზღუდვებს კამპანიის ხარჯებზე. პროკურორები ამტკიცებენ, რომ სარკოზიმ 2012 წლის საარჩევნო კამპანიაზე 42.8 მილიონი ევრო დახარჯა, რაც ნებადართულ თანხაზე თითქმის ორჯერ მეტია.

# ტრამპის გუნდი ზელენსკი-პუტინის შერიგებას გეგმავს...

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მრჩევლებმა განიხილეს უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკისა და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მოლაპარაკების მაგიდასთან მიყვანის შესაძლებლობა,** – ამის შესახებ „ბლუმბერგი“ წერს.

ტრამპის ერთ-ერთმა მრჩეველმა თქვა, რომ უკრაინისთვის აშშ-ის სამხედრო დახმარების მიწოდების შეწყვეტის მუქარამ, შესაძლოა, კიევი მოლაპარაკების მაგიდასთან მიიყვანოს. ტრამპის მრჩევლები ლარი კუდლოუ და რობერტ ო„ბრაიენი საჯაროდ უჭერენ მხარს რუსეთის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას, რათა გავლენა მოახდინონ პუტინზე.





# შალვა ნათელაშვილს სასამართლოში უჩივიან

**„ლეიბორისტული“ პარტიის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს „ამერიკისა და საქართველოს მეგობრობის ასოციაციის“ პრეზიდენტი მელორ წიფურია სასამართლოში უჩივის.**

როგორც წიფურია ამტკიცებს, ნათელაშვილმა მისი პატივი და ღირსება შელახა, როდესაც მცდარი ინფორმაცია გაავრცელა. ბიზნესმენი პოლიტიკოსისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს, პოლიტიკოსი კი მას ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ბრძოლის გამართვით ემუქრება.

საქმე ეხება ერთ-ერთ ტელეეთერში შალვა ნათელაშვილის ბრალდებებს, რომ მელორ წიფურია „ფოთიდან გაქცეული ბიზნესმენია, რომელიც დაფინანსებას ბიძინა ივანიშვილისგან იღებს“ და ამერიკის შეერთებულ შტატებში მის ლობირებას ეწევა. როგორც მელორ წიფურია აცხადებს, მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, შალვა ნათელაშვილმა მას ცილი დასწამა და ტყუილი ინფორმაცია გაავრცელა.

ნათელაშვილის ადვოკატის თქმით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის გათვალისწინებით, დარწმუნებულია, რომ სასამართლო ბიზნესმენის სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

**„სარჩელი შეიტანეს შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ, რადგან მას ჰქონდა გარკვეული ინფორმაციები, რომლებიც ტელევიზიის საშუალებით გაავრცელა. ამის უფლებას აძლევს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი.**

**დარწმუნებული ვარ, სარჩელს არ დააკმაყოფილებენ, იმიტომ რომ ამაზე არსებობს უამრავი, როგორც შიდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველთვის წინ არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რასთანაც მოცემულ შემთხვევაში გვაქვს საქმე“,** – ამბობს მედიასთან საუბრისას პოლიტიკოსის ადვოკატი.

ბიზნესმენი წიფურია აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია შალვა ნათელაშვილის ქცევის მოტივები, თუ რატომ ესხმის თავს და სწორედ ამიტომ მიმართა სასამართლოს.

**„ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო ბატონმა შალვამ 2021 წელს, როდესაც ფოთში რამდენიმე კონგრესმენი ჩამოვიყვანე, ფეისბუკგვერდზე დაწერა, რომ მე ვიყავი ფოთიდან გაქცეული, ფოთელი აფერისტი, რაღაც დაფინანსებების თემაზე. რა თქმა უნდა, არ მომეწონა, ვერ გავიგე მიზეზი და მაინც თავი შევიკავე, რომ რაიმე გამეკეთებინა. ამის შემდეგ მან ისევ გააკეთა მსგავსი განცხადებები.**

**როდესაც კონგრესმენები ჩამოდიან საქართველოში, მთავრობის წევრებთან შეხვედრის გარდა მათ ყოველთვის ვახვედრებ ოპოზიციის წევრებსაც.**

**2019 წელს შალვა ნათელაშვილმა ერთ-ერთ გადაცემაში ბრძანა, რომ ჩამოვიყვანე წარმომადგენლობის პალატის წევრი, ბატონი ადამ კინზინგერი და კონგრესმენი ალექს მუნი ფოთში და არ შევახვედრე, თუ მათ თქვეს უარი, ყოველი შემთხვევისთვის, ბატონი შალვასგან არ მიმიღია უკუკავშირი. თუ მას ვერ შევახვედრე, ეს სამწუხაროა ჩემთვისაც. ნებისმიერ შემთხვევაში, შეხვედრა შედგება, თუ არა, ეს არ აძლევს ბატონ შალვას უფლებას, რომ ასეთი ცილისწამება და შეურაცხყოფა მომაყენოს“,** – ამბობს საქართველოს საპატიო კონსული ამერიკაში, მელორ წიფურია.

**ცნობისთვის, დავაზე სასამართლო პროცესი ცილისწამების მუხლით მიმდინარეობს. შალვა ნათელაშილი ბიზნესმენს პროცესის წაგებითა და ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებით ემუქრება. მელორ წიფურიას თქმით კი, მისი მიზანია, შალვა ნათელაშვილმა სიტყვები უკან წაიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავა ფინანსურად გადაწყდება. როგორც წიფურია ამბობს, თანხის 100% გადაირიცხება ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის.**

◉ ფიცარნაგზე

# ოქროს იქნება



**ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატის სტარტზე ქართველმა შტანგისტებმა 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო მოიხვეჭეს, ჯვაროსანთა ლეგენდარული ლიდერი ლაშა ტალახაძე კი ბულგარულ ფიცარნაგზე მიმდინარე ფორუმს 20 თებერვალს, იმედია, მერვე ტიტულის მოპოვებით დახურავს.**

ტურნირი 55 კილოში დამსახურებული 2 მეორე ადგილით (ატაცი, ორჭიდი) დავიწყეთ, რომელიც რამინ შამილიშვილმა დაიმსახურა, მომდევნო წონაში – 61 კი ასევე დუბლი შარშანდელმა გვირგვინოსანმა შოთა მიშველაძემ შეასრულა, რომელიც როგორც ატაცში, ისე ორჭიდში მესამე პრიზიორი გახდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერჯერობით საუკეთესო შედეგებით მასპინძლები გამოირჩევიან, რომლებსაც სასახელო ტრადიციები უმაგრებთ ზურგს, თუმცა 1 ოქრო სომხეთის ნაკრების ყულაბაშიც ჩაჩხრიალდა, ვისაც ასევე საამაყო წარსულით მოაქვთ თავი. ვიმედოვნებთ, რომ სოფიაში ქართული ჰიმნიც გაჟღერდება.

◉ ხალიჩაზე

# ერთი შეხედვით




**ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული 2 ბრინჯაო და გუნდურ ჩათვლაში 66 ქულით დაკავებული მე-6 ადგილი თითქოს კარგ შედეგად უნდა ჩავუთვალოთ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს, მაგრამ ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლის ფაქტორის გათვალისწინებით დიდი ვერაფერი ბედენა გახლავთ.**

კიდევ უფრო საგანგაშოდ გამოიყურება ჯვაროსანთა ლიდერის, მსოფლიოს მოქმედი და კონტინენტის აწ უკვე ყოფილი ჩემპიონის ლერი აბულაძის ფიასკო, რომელიც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ფორუმს მეოთხედფინალიდან გამოეთიშა და ამჯერად უმედლოდ დარჩა, არადა ხულოელი ფალავანი შარშანდელი ტრიუმფალური სეზონის შთამბეჭდავი შედეგების გამო კარპატული ტურნირის დროს 2023 წლის საუკეთესო კლასიკოსად მიიჩნიეს და დამსახურებული პრიზითაც დააჯილდოვეს.

რაც შეეხება საპატიო კვარცხლბეკს, ჩვენებურთაგან იქ იური ლომაძემ (77 კგ) და გელა ბოლქვაძემ (82 კგ) შეაბიჯეს, ხოლო ნუგზარ წურწუმიასა და იაკობ ქაჯაიას ერთი ნაბიჯი დააკლდათ.

◉ ჩემპიონთა ლიგა

# დრონი მეფობენ

**ზამთრის ძილის შემდეგ განახლებული ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტს – მიუნხენის ბაიერნს მძიმე პერიოდი უდგას – ჯერ იყო და გერმანიის მესამე ეშელონის ბინადარ საარბრიუკენთან სენსაციური მარცხით გამოეთიშა იქაური თასის გათამაშებას, რამდენიმე დღის წინათ ბუნდესლიგის აქამდე უძლეველ ლევერკუზენთან სატიტულო ბრძოლაში განადგურდა, კრიზისი კი რომში ლაციოსთან შერცხვენით გააგრძელა – 0:1.**

კი ბატონო, ტრავმების ეპიდემიასთან ღირსეულად გამკლავება ბევრს უჭირს, მაგრამ ბავარიული გრანდის ქომაგებს ეს ფაქტორი ძნელად თუ დაუამებთ ჭრილობას.



ასე რომ, სავსებით საფუძვლიანად გამოიყურება ვერსია, რომ გუნდის თავკაც თომას ტუხელის დღეები დათვლილია.

**დანარჩენი შედეგები:** ლაიფციგი – რეალი 0:1 (სხვათა შორის, საკადრო პრობლემათა სიმცირეს არც სამეფო კლუბი უჩივის), კოპენჰაგენი – სიტი 1:3, პსჟ – სოსიედადი 2:0.

რაც შეეხება კვარას, 22 თებერვალს ნაპოლი ბარსელონას უმასპინძლებს.

◉ ადამიანი-რაგბი

# ლევან მაისაშვილი – მაღალი მიღწევების დირექტორი



**რაგბი ევროპის ჩემპიონატისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მწვრთნელის რანგში, ბორჯღალოსანთა ორი ისტორიული გამარჯვების შემოქმედი ლევან მაისაშვილი რაგბის კავშირის მაღალი მიღწევების დირექტორი გახდა.**

48 წლის მაისაშვილი ფაქტობრივად დამოუკიდებელ ქართულ რაგბისთან ერთად გაიზარდა. ოვალური ბურთისადმი მისი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, სწავლისა და მუშაობის პარალელურად, მშობლიურ კლუბ „ლელოში" ბავშვთა და მოზარდთა წვრთნას უანგაროდ მიჰყო ხელი (1994-2001).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა პარალელურად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც „ლელოს" კაცთა გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა და 18 წლის განმავლობაში (2001-2019) გუნდს 6-ჯერ მოაგებინა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, სამჯერ კი ქვეყნის თასს დაეუფლა. 2004-2016 წლებში ის 7-ჯერ აღიარეს საუკეთესო ქართველ მწვრთნელად.

კაცთა გუნდში დაწინაურების შემდეგ მაისაშვილს არ შეუწყვეტია პროფესიული განათლება. სხვადასხვა დროს მან სტაჟირებები გაიარა ახალ ზელანდიაში (ოკლენდი, ველინგტონი), საფრანგეთში (ტოპ 14-ის კლუბები – მონპელიე, ტულონი, აჟენი), სამხრეთ აფრიკაში (კვაზულუ ნატალის რაგბის კავშირი) და ინგლისში (სარასენსი).

საერთაშორისო ასპარეზზე ის პირველად 1999 წელს, 19-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის რანგში გამოჩნდა; 2003-2006 და 2007-2009 წლებში 19-წლამდე, ხოლო 2006-2007 წლებში 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. 2008-2014 წლებში მაისაშვილი საქართველოს ა, ხოლო 2014-2015 წლებში მზარდი ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ამავდროულად, 2008 წელს მან ნიკო ჭავჭავაძესთან ერთად ორ თამაშში უთავკაცა ეროვნულ ნაკრებს.

2016-2019 წლებში ლევანი ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელის მილთონ ჰეიგის ასისტენტი იყო, რის შემდეგაც მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ პოზიციაზე 2023 წლის ბოლომდე დარჩა.

ასისტენტის რანგში მან 3-ჯერ (2016, 2018, 2019), ხოლო მთავარი მწვრთნელის რანგში ოთხივეჯერ (2020, 2021, 2022, 2023) მოიგო რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტული.

მაისაშვილის ხელმძღვანელობით საქართველომ ჯამში 42 თამაში (11 ტიერ1-თან) ჩაატარა და 26-ში გაიმარჯვა, 3 ფრედ დაასრულა, 13 კი დათმო. 2022 წელს ბორჯღალოსნებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს ორი ისტორიული გამარჯვება – იტალიასთან ბათუმში (28:19) და უელსთან კარდიფში (13:12).

2021 წელს მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან ტესტ-მატჩისას მას კორონავირუსი შეეყარა და უცხო ქვეყანაში დაახლოებით 2 თვე გაატარა საავადმყოფოში, აქედან ერთი თვე კომაში, თუმცა ერთი შეხედვით გარდაუვალი სიკვდილი დაამარცხა და სამშობლოში დაბრუნებიდან სამ კვირაში სამუშაო პროცესს დაუბრუნდა.

ბორჯღალოსანთა პარალელურად, 2021 წლის შემოდგომიდან ლევან მაისაშვილმა პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი" ჩაიბარა და მას ზედიზედ სამჯერ მოაგებინა რაგბი ევროპის სუპერთასი.

2022 წელს გუნდმა ითამაშა სამხრეთ აფრიკის შიდა ჩემპიონატ ქარის თასში (კონკურსგარეშე) და ნახევარფინალში გავიდა, 2023 წლის გაზაფხულზე კი სამხრეთ ამერიკის სუპერლიგაში (კონკურსგარეშე).

შემოდგომიდან „შავი ლომი" ევროპის პროფესიულ საკლუბო ტურნირში ჩელენჯ თასში ჩაერთო და პირველ შეხვედრაში 150-წლიანი ინგლისური კლუბის – „გლოსტერის" დამარცხებამდე სულ ცოტა დააკლდა (10:15); მეორე თამაშში უელსში „სქარლეთსი" დაამარცხა (23:7), რაც ტურნირის დებიუტანტისთვის ფანტასტიკური შედეგი იყო, ფრანგულ „კასტრს" (6:28) და „კლერმონს" (3:36) კი დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

2024 წლიდან ლევან მაისაშვილი რაგბის კავშირის მაღალი მიღწევების დირექტორად დაინიშნა, რაც მსოფლიო რაგბის რეკომენდაციაც იყო და ის წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას კვლავ ქართულ რაგბის მოახმარს.

**„ლევან მაისაშვილი ქართული რაგბისა და საქართველოს მომავლის დიდი იმედია. მან შექმნა და დაწერა ის ისტორია, რომელიც გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ ვიბრძოლოთ ბოლომდე და თუ ყველანი ერთად დავდგებით, დიდი გამარჯვებებიც აუცილებლად მოვა. ლევანს ამ პოზიციით უფრო დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რისთვისაც პირადად მე მას მადლობას ვუხდი. ის არასდროს გაჩერებულა და უკვე დღეიდან შეუდგა ახალ სამუშაოს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაზობ – ჩვენი ერთობა და გუნდურობა დიდ შედეგებს მოიტანს. მადლობა ლევანს განვლილი წლებისთვის და დიდი იმედით შევყურებთ მომავალს",** – განაცხადა **იოსებ ტყემალაძემ**, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა.

კრიმინალი

## დაპირისპირება მოსწავლეებს შორის

**თბილისის 192-ე საჯარო სკოლაში მეცხრე კლასის მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება იყო. არსებული ინფორმაციით, მოზარდებს შორის ჩხუბი ჯერ გაკვეთილზე დაიწყო, თუმცა მასწავლებელმა სიტუაციის განეიტრალება შეძლო. ამის შემდეგ კი დაპირისპირება საპირფარეშოში გაგრძელდა.**

არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ მოსწავლეს ცხვირი აქვს გატეხილი. სკოლაში დღეს სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. ჯერჯერობით მომხდარზე სკოლის ადმინისტრაციას კომენტარი არ გაუკეთებია. არაფერს ამბობს არც მანდატურის სამსახური.

## იტალიაში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

**იტალიაში, ტელეფონების ქურდობისთვის საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს, ამ დრომდე, ეძებენ კიდევ ერთ თანამზრახველს. იტალიური მედიის ცნობით, 29 და 31 წლის ქართველებმა ერთ-ერთი მაღაზიიდან 3 ტელეფონი მოიპარეს.**

ქართველები მაღაზიის დაცვამ იმ დროს დააკავა, როდესაც მოპარულ ტელეფონებს ქურთუკის ჯიბეში მალავდნენ და მაღაზიის დატოვებას ცდილობდნენ. მათ 4-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

## „პრომო გოგონები" ტურისტ კაცებს თავს აპატიჟებინებდნენ და შეუსაბამოდ დიდ თანხებს ახდევინებდნენ

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ბრალდებით ოთხი პირი დააკავა.** უწყების ინფორმაციით, თბილისში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მენეჯერს, თანამშრომლებთან ერთად შემუშავებული ჰქონდა თაღლითური სქემა.

ისინი, „პრომო გოგონების" მეშვეობით უკავშირდებოდნენ საქართველოში ტურისტულად მყოფ უცხოელ კაცებს, რომლებსაც წინასწარ შემუშავებული თაღლითური სქემით თავს რესტორანში აპატიჟებინებდნენ. ამის შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მათ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამოდ დიდ თანხებს ახდევინებდნენ.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 4 პირი დააკავეს. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1973 წელს დაბადებული შ.ხ., 1999 წელს დაბადებული ა.ო., 1997 წელს დაბადებული ლ.ბ. და 1993 წელს დაბადებული მ.გ.**

**დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის მენეჯერს, თანამშრომელთან ერთად შემუშავებული ჰქონდა თაღლითური სქემა. კერძოდ, ისინი, „პრომო გოგონების" მეშვეობით, ერთ-ერთი აპლიკაციით უკავშირდებოდნენ საქართველოში ტურისტულად მყოფ უცხოელ მამაკაცებს, რომლებსაც წინასწარ შემუშავებული თაღლითური სქემით თავს რესტორანში აპატიჟებინებდნენ. ამის შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მათ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამოდ დიდ თანხებს ახდევინებდნენ.**

**იმ შემთხვევაში თუ კი დაზარალებულები ბრალდებულების მიერ დასახელებულ თანხას არ გადაიხდიდნენ, მათზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ამ გზით ეუფლებოდნენ ფულს",** – ვკითხულობთ განცხადებაში.

# თამაზ დაუშვილი



მოულოდნელი და ტკივიალიანია თამაზ დაუშვილის გარდაცვალება.

ქართველი ბიზნესმენი, ეკონომისტი, პოლიტიკოსი, რაინდული თვისებებით გამორჩეული კაიყმა და ნამდვილი კოლორიტი თამაზ დაუშვილი დაიბადა 1940 წლის 2 აგვისტოს თბილისში.

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1995-1999 წლებში იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი, (თბილისი, კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი), საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი".

თამაზ დაუშვილი იყო საოცარი პიროვნება, ერთგული მეგობარი, დახვეწილი ინტელიგენტი, ნამდვილი თბილისელი, მეგობრების და ახლობლების უანგაროდ გვერდში მდგომი, დიდი სამეგობროს ნუგეში.

ის იყო კაცი „რომელიც ნამდვილად დააკლდება ქალაქს".

ღმერთმა ნათელი და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ჩვენს დაუვიწყარ თამაზს!

მეგობრების სახელით:

ოთარ ბრეგვაძე, ნიკო ლეკიშვილი, დავით სარალიძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ილო ხუციშვილი, ჯიმი ყიფიანი, დემურ ყიფიანი, პეტრე ჩხეიძე, ბადრი წილოსანი, ავთო წილოსანი, ივა ბერაძე, ჯუმბერ ბერაძე, მუხრან ბაგრატიონი, თემურ ღოლობერიძე, თენგიზ აბულაძე, გრიშა ონიანი, გურამ კალანდაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ანზორ დარასელია, დემურ ცქიტიშვილი, დათო გოზეჯიშვილი, მალხაზ ყანჩაველი, ლევიკო საყვარელიძე, გოგი თოდრია, კიჟა არველაძე, გია მათიშვილი, სოსო მაჭარაშვილი, ავთო ცოცხალაშვილი, გოგი ლოთუაშვილი, მერაბ ზაქარეიშვილი, დემიკო ლოლაძე, ლაური ჯანაშია, მერაბ ახობაძე, ტარიელ რაზმაძე, დათო თამამაიშვილი, თემურ ხუროძე, მერაბ მახარაძე, ზაზა ხუციშვილი, ზურაბ ჭკუასელი, ავთო წერეთელი, ბაკურ კილურაძე, დათო პაპუნაშვილი, თემურ ფეიქრიშვილი, კობა ამირხანაშვილი, ლაერტი ზუბადალაშვილი, მაია ბოკუჩავა, დალი დაუშვილი, ჰამლეტ ლაგვილავა, ალეკო ოლლიშვილი, შედანი ნონიკაშვილი, ზაქარია ავალიშვილი, რეზო შუღლიაშვილი, თამაზ გელაშვილი, თამაზ კუჭავა, ბუსკა გეწაძე, გია ლოლაძე, თემურ ხუბულური, ნუკრი კეკუა, ომარ პაიჭაძე, ვალერი მუძერია, ზიკა ცქიტიშვილი, გივი შუღაროვი, გივი გავარდაშვილი.

# გედეონ ხელაია



თბილისში ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთ-ერთი უხუცესი და დამსახურებული პიროვნება, გამორჩეული თავისი კეთილგანწყობილი თვისებებით, თსუ-ს პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**გედეონ ხელაია**

და თანადგომას უცხადებს მის ოჯახს.

გამგეობის სახელით:

სპარტაკ გოგინავა, ჯემალ კახიანი, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კვირტია, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, ბესლან ქორქია, თენგიზ უჩანეიშვილი, პეტრე ბერაია, გია სვანიძე, ლიანა წურწუმია, გულთაზ ლაბარტყავა, ვახტანგ გვარამია, ვახტანგ ჩიქოვანი.



## გარდაიცვალა მსახიობი
# ხათუნა კოტრიკაძე

ამის შესახებ ინფორმაციას მსახიობის ოჯახის ახლობლები ადასტურებენ. ხათუნა კოტრიკაძის დებიუტი სოსო ჩხაიძის მოკლემეტრაჟიან ფილმში „მეთხუთმეტე გაზაფხული" შედგა, შემდეგ ითამაშა ფილმებში — „მოიტაცეს თამარ ქალი" (რეჟისორი — ლეილა გორდელაძე) და „მხიარული რომანი" (რეჟისორი — ლერი ხოტივარი).

# გივი სოსელია



კიდევ ერთი ღირსეული კაცი, ზუგდიდის სიამაყე, საოცარი ხიბლის მქონე, თბილი და სანდომიანი ადამიანი, უნიკალური სამეურნეო საქმიანობის მცოდნე ყოფილი ხელმძღვანელი გივი სოსელია გავიდა ამ ქვეყნიდან, რომელიც თავისი უმწიკვლო მოღვაწეობით და შრომითი ბიოგრაფიით იყო გამორჩეული.

ბატონი გივი დაიბადა 1937 წლის 11 აგვისტოს ქ. ზუგდიდში, სწავლობდა ქალაქის ვაჟთა სკოლაში. საშუალო სკოლა კი დაამთავრა სოფელ ჩხორიაში ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და წარჩინებით დაამთავრა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

მუშაობა დაიწყო 1961 წლიდან ქ. ზუგდიდის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის მშენებლობაზე ინჟინერ-ზედამხედველად. მშენებლობის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ იყო საამქროს უფროსი, შემდეგ მთავარი ინჟინერი, ბოლოს პერსპექტიული ახალგაზრდა დააწინაურეს დირექტორად, სადაც 1969 წლამდე იმუშავა წარმატებით.

1969-1978 წლებში იყო ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის დირექტორი, სულ მალე ეს საწარმო გახდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღიარებული, რომლის გამოშვებული 50 დასახელების პროდუქცია იგზავნებოდა საზღვარგარეთ.

1978-1986 წლებში ჩაის კომბინატ „ოდიშის" დირექტორია. ამ პერიოდში ეკონომიკურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი საწარმო გახდა ამ დარგის საუკეთესო ჩაის მეორადი გადამამუშავებელი კომბინატი საბჭოთა კავშირში.

1986-2004 წლებში მუშაობდა ს.ს. „ზუგდიდის ფაიფურის" გენერალურ დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობისას ქარხანა რენტაბელური გახდა.

2005 წლიდან იგი შპს „კოლხეთი 2006"-ის დირექტორია და პარალელურად ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას.

გივი სოსელიას ეს შესანატრი ცხოვრებისეული წარმატებები მიღწეული იყო დაუღალავი შრომით და ორგანიზატორული ნიჭით. იგი გახლდათ დიდი პროფესიონალი, უკომპლექსო, მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ინტერესების დამცველი, პრობლემურ საკითხებს ყოველთვის წყვეტდა ობიექტურად, იყო სიტყვის და საქმის კაცი და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალი საქმის მოთავე და შემსრულებელი. აქტიურად იყო ჩაბმული ზუგდიდის აღმშენებლობაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო ქალაქის საბჭოს მრავალგზის დეპუტატი, საზოგადოება „ზუგდიდელის" პრეზიდიუმის წევრი, ქალაქ ზუგდიდის საპატიო მოქალაქე; მის პიროვნებაში გამძაფრებული იყო საკუთარი თავისადმი მოთხოვნილების გრძნობა და აქედან გამომდინარე, სხვებისგანაც ითხოვდა სამაგიეროს. ვერ იტანდა ცრუ დაპირებებს, უხმაუროდ აკეთებდა სიკეთეს და ხარობდა ამით.

სამწუხაროდ, ავბედითი რეჟიმი მასაც შეეხო და სცადეს მისი გატეხვა, მაგრამ ბატონი გივი შეუვალი იყო მოგონილი ჭორის, სიცრუის, დასმენის წინააღმდეგ. და მართლაც, გაიმარჯვა და გამართლდა. მიტევებაც შეძლო, მაგრამ კაცურკაცობა არასოდეს დაუკარგავს. ამასთან, მან შეძლო სამაგალითო ჭირთათმენა უსაყვარლესი შვილის, სიძის და შვილიშვილის გარდაცვალების გამო. იყო ამ დიდი ტრაგედიის ღვთიური ძალისხმევით დამტევი და სხვათა მანუგეშებელიც.

თითქოს მშვიდი, მაგრამ დაუდგრომელი სულის პატრონის ქცევა და სიტყვა მუდამ მოზომილი იყო. ადამიანებში მხოლოდ კარგს ეძებდა და პოულობდა კიდეც. კაცის მთავარ ღირსებად ნათქვამი სიტყვის გაუტეხლობა მიაჩნდა.

გიყვარდეს მოყვასი შენი — მისი ცხოვრების კრედო იყო. უზომოდ უყვარდა ზუგდიდი, ქალაქისა და რაიონის მშრომელი ხალხი, ადათ-წესები და მეგობრები.

საოცრად პუნქტუალური და მამაკაცის ყველა საუკეთესო თვისებების მატარებელი გახლდათ.

ოჯახი ყოველთვის მის ბედნიერების და წარმატებული ცხოვრების საფუძველი იყო. მეუღლე, ქალბატონი იდა — ექიმი, სოსელიების დიდი ოჯახის ღირსეული რძალია. შვილები და შვილიშვილები სასახელონი არიან.

ბატონ გივის თავის დამსახურებაზე საუბარი არ უყვარდა, მაგრამ დამნახავი და დამფასებელიც არასოდეს დაკლებია.

ნათელში ყოფნა და არდავიწყება იყოს მისი.

უახლოესი მეგობრები:

ნოდარ ჭითანავა, კლიმენტი ჯანჯღავა, ბონდო ჯიქია, გრიგოლ ონიანი, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, გურამ ფიფია, ალენ მიურატი, ვაჟა (პანტიკო) თორდია, მერაბ ქვარაია, ედიშერ თოლორაია, ოთარ ჭითანავა, თამაზ ცანავა, იური გუგუჩია, ალვერ იზორია, მურმან ნაჭყებია, ანზორ ჭითანავა, ჯამბულ წულაია, ტარიელ დგებუაძე, დემურ გადელია, მამუკა ადამია, ავთო ბესელია, თამაზ სულავა, თემურ მურღულია, ლერი ჭითანავა, დავით ჭითანავა, გიორგი ყუფუნია, გოჩა სოსელია, თენგიზ სოსელია, გია ჭითანავა, ჯემალ კვირტია, კარლო ვეკუა, კლიმენტ კიკალიშვილი, ფელიქს იზორია, ლავრენტი კემულარია, თენგიზ შანავა, ნუგზარ მალაშხია, თენგიზ ჭითანავა, ემზარ კვარაცხელია, თენგიზ სვანიძე, გურამ ოდიშარია, ზურაბ აბშილავა, გიგლა ალშიბაია, ვლადიმერ ცანავა, ლევან ქუთათელაძე, თემურ რევიშვილი, ალიკო ჯაგაშვილი, თემურ ჯაში, არჩილ ბოგვერაძე, ლავრენტი ბიგვავა, გურამ ჭანტურია, მურთაზ ბოკუჩავა, ვაჟა ფიფია.




# საბავშვო ევროვიზიას ესპანეთი უმასპინძლებს

**რიგით 22-ე საბავშვო ევროვიზია 2024 წლის ბოლოს ესპანეთში გაიმართება. ესპანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი (RTVE) ამ კონკურსს ისტორიაში პირველად უმასპინძლებს. შარშან ნიცაში ესპანეთმა მეორე ადგილი დაიკავა, კონკურსი ფრანგმა კონკურსანტმა მოიგო, თუმცა France Televisions-მა კონკურსის ორგანიზება წელს RTVE-ს გადასცა.**

ესპანეთმა საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 2004 წელს მოიგო. თუმცა საბავშვო ევროვიზიის წესები არ ავალდებულებს გამარჯვებულ მაუწყებელს, უმასპინძლოს კონკურსს შემდეგ წელს, როგორც ეს ევროვიზიის სიმღერის კონკურსშია.

**„საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში გამარჯვებიდან ოცი წლის შემდეგ ჩვენ აღფრთოვანებული ვართ, რომ საბოლოოდ კონკურსს ესპანეთში ჩავატარებთ. ჩვენ მადლობელი ვართ, რომ RTVE მასპინძლობს კონკურსს“,** – განაცხადა საბავშვო ევროვიზიის აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა მარტინ ოსტერდალმა.

# ახალი „ფანტასტიკური ოთხეული“

**MARVEL-მა იმ მსახიობების ვინაობა გაამხილა, რომლებიც პოპულარული კომიქსის „ფანტასტიკური ოთხეულის“ ახალ ეკრანიზაციაში მთავარ როლებს შეუასრულებენ.**

მისტერ ფანტასტიკს პედრო პასკალი განასახიერებს, ადამიან-ჩირაღდანს ჯო კუინი, უჩინმაჩინ ქალს ვანესა კირბი, არსებას კი ებონ მოსს-ბაკრაკი. სტუდიამ კასტს სადღესასწაულო პოსტერიც მიუძღვნა, რომელიც სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა. „ფანტასტიკური ოთხეული“ ეკრანებზე 2025 წლის ივლისში გამოვა.



# ვალენტინობას „მან თქვა კი!“

**ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ენტონი ალბანიზმა თავის პარტნიორს, ჯოდი ჰეიდონს ცოლობა სთხოვა. ალბანიზმა ჰეიდონს ხელი 14 თებერვალს გაუწოდა და ამისთვის საკუთარი დიზაინით შექმნილი ბეჭედი გამოიყენა.**



ის ავსტრალიის პირველი პრემიერია, ვინც ასეთი გადაწყვეტილება თანამდებობაზე ყოფნის დროს მიიღო. ალბანიზმა საზოგადოებას თავის პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესახებ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სელფით აცნობა, რომელსაც დაურთო წარწერა: **„მან თქვა კი“.** 60 წლის პრემიერმა და 45 წლის ჰეიდონმა ერთმანეთი 4 წლის წინ, ბიზნეს-სადილზე გაიცნეს. ორივე ავსტრალიის რაგბის ეროვნული ნაკრების გულშემატკივარია.

# სტალონეს სურს, რემბო გოსლინგმა გააგრძელოს...



**სილვესტერ სტალონე მზად არის, ჯონ რემბოს როლი მხოლოდ რაიან გოსლინგს გადასცეს. ამის შესახებ „რემბოს“ ვარსკვლავმა ჯიმი ფელენის შოუზე სტუმრობისას განაცხადა.**

სტალონემ გოსლინგთან შეხვედრა გაიხსენა, როდესაც რაიანმა უთხრა, რომ ყოველთვის „რემბოს“ თაყვანისმცემელი იყო.

**„ვიფიქრე, თუ ოდესმე მომიწევს ესტაფეტის გადაცემა, მას გოსლინგს გადავცემდი, იმიტომ რომ მას უყვარს ეს პერსონაჟი“. ამასთან, სტალონემ დაუშვა რომ შესაძლოა მაყურებლების ნაწილს გოსლინგი ამ როლისთვის ზედმეტად ლამაზად მოეჩვენოს.**

ამასთან, ცნობილია რომ სწორედ სტალონეს სტილი იქცა შთაგონების წყაროდ „ბარბის“ რეჟისორისთვის გრეტა გერვიგისთვის და გოსლინგისთვის, რომელმაც ფილმში კენის როლი შეასრულა. კერძოდ, გოსლინგმა გაამხილა, რომ მან და გერვიგმა კენისთვის ბეწვის ქურქები იმიტომ შეარჩიეს, რომ ორივეს უყვართ სტალონე, რომელიც ადრე ხშირად იცვამდა ასეთ ქურქებს.

# სამხრეთ კორეაში ბრინჯისა და ხორცის ჰიბრიდი



**სამხრეთკორეელმა მეცნიერებმა ახალი ტიპის საკვები შექმნეს, რომელიც ხორცისა და ბრინჯის ჰიბრიდს წარმოადგენს. ექსპერიმენტი იონსენის უნივერსიტეტში ჩატარდა.**

სპეციალისტებმა ბრინჯს ლაბორატორიაში გაზრდილი საქონლის კუნთებისა და ცხიმის უჯრედები დაუმატეს, რის შემდეგაც ბრინჯი თევზის ჟელატინის მასაში შეურიეს და პეტრის ფინჯანში 11 დღით მოათავსეს. შედეგად მათ უფრო მყარი ბრინჯი მიიღეს, რომელიც ჩვეულებრივზე 8%-ით მეტ პროტეინს და 7%-ით მეტ ცხიმს შეიცავს. ამასთან, ასეთი ბრინჯის წარმოება ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ვიდრე საქონლის ხორცის. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ მათი აღმოჩენა პლანეტას შიმშილის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა ბვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 თებერვალს**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“**

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

შპს „ელვა ჯი“ 595 382 626; 2 38 26 73;
2 38 26 74577 308 847

შპს „პლანეტა ფორტე“ 579 79 99 08; 599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

**დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:**

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე GEO90BG0000000538329790

შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“, გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6453; ევრო - 2.8395;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3199;
100 რუბლი - 2.8964; თურქული ლირა - 0.0861;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5577;
1000 სომხური დრამი - 6.5593

**ამინდი 16 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +11 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +13 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge